საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფიფიოებით და ჭოტებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 4 ნოემბერი. 2016 წ. №206 (8098), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მოთმინებითა ჩვენითა გავაძლიეროთ და ავაღორძინოთ სახელმწიფო!

6



2

ეს ფაქტობრივი ანექსიაა

ქვლავ „კავკასიური ცარცის წრის“ მსგავსი სიუჟეტი?!

ახალი პარლამენტი - ისევ თბილისსა და ქუთაისს შორის?

4

რამ შეაყვარათ ასე მოწევა?!

11

ყოველი მეორე მოსწავლე თამბაქოს მოიხმარს

„ის, რაც 800 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა ვერც ერთმა მტერმა და მომხდურმა“...

2

სიტყვა და საქმე ერთი იქნება!

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ იღებს პასუხისმგებლობას, რომ საქართველო იქნება თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი, ერთიანი, ძლიერი და წარმატებული ქვეყანა, რომლის თითოეულ მოქალაქეს ექნება ყველა პირობა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისა და ღირსეული ცხოვრებისთვის. ამის მისაღწევად დაცული იქნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები; განმტკიცდება კანონის უზენაესობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს; განათლება და ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის; დაიხვეწება სახელმწიფო სოციალური პროგრამები; დაცული იქნება კერძო საკუთრება და შრომითი უფლებები, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და დაიძლევა სილარიბე; საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის განხორციელდება რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმა, რომელიც გარღვევას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაში, განხორციელდება უპრეცედენტო მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა შედეგადაც საქართველოს რეგიონები უმოკლესი გზებით დაუკავშირდება ერთმანეთს, ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება გახდება სწრაფი და კომფორტული როგორც შიდა მიმოსვლისთვის, ისე ტრანზიტისთვის. ამ რეფორმების შედეგები უმოკლეს ვადაში – 4 წელიწადში აისახება თითოეული ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობაზე.

„ქართული ოცნების“
წინასაარჩევნო პროგრამიდან.

დავით-გარეჯიდან ლევილის დაბრუნებამდე

3

„ვეფხისტყაოსნის“ სვანური ირაო

11

სენსაციური ანონსი

მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე

იოსებ სტალინის დღემდე უცნობი მემუარული ჩანაწერები

7

გამოდის 1918 წლიდან **98**

საგარეო საქმეთა სამინისტრო

ეს ფაქტობრივი ანექსიაა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის მიერ რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმს შორის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის თაობაზე დადებულ რატიფიკაციას აფხაზეთის და ცხინვალის ფაქტობრივ ანექსიას უწოდებს.

„2 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის მიერ რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმს შორის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის თაობაზე 2015 წლის ნოემბერში დადებული ე.წ. შეთანხმების რატიფიკაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ფაქტობრივი ანექსიის პროცესის მორიგი უკანონო ეპიზოდი უწოდეს.

მსგავსი გაერთიანების შექმნას ითვალისწინებდა 2014 წლის ნოემბერში ხელმოწერილი ე.წ. „ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“. მთელი ეს პროცესი ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაცია განაგრძობს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მცოცავი ანექსიის პოლიტიკას, რაც სრულად ეწინააღმდეგება დადგენილ საერთაშორისო წესრიგს და ძირს უთხრის გაეროს ქარტიისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობა და სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა.

დოკუმენტის ხელმოწერითა და ერთი წლის თავზე მისი რატიფიკაციით რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო მექანიზმების არარსებობისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებაზე უარის თქმის გათვალისწინებით.

აფხაზეთში ე.წ. „შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების“ შექმნა ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციისა და რეგულარული სამხედრო წვრთნების ფონზე კიდევ უფრო ამწვავებს ადგილზე უსაფრთხოების კუთხით არსებულ ისედაც რთულ ვითარებას და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მთელი რეგიონის სტაბილურობას.

საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ძალისხმევას ყველა საერთაშორისო ფორმატში, დასავლელ პარტნიორებთან ორმხრივ ურთიერთობებსა თუ მრავალმხრივ დიპლომატიაში რუსეთის ფედერაციის პროვოკაციულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ სათანადო შეფასება მისცეს მოსკოვის უკანონო ქმედებებს და შესაბამისი ზომები მიიღოს რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით,“ — ნათქვამია განცხადებაში.

მიხეილ ჯანელიძე: რატიფიკაცია არღვევს 2008 წლის შეთანხმების პირობებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის მიერ რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმს შორის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის თაობაზე დადებულ რატიფიკაციას ეხმაურება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე. მისი თქმით ეს ხელშეკრულება არღვევს 2008 წლის შეთანხმებას და არ არის ნამდვილად მიმართული რეგიონში უსაფრთხოებისკენ.

„ამით ირღვევა როგორც 2008 წლის შეთანხმების პირობები, ასევე ირღვევა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები და ნორმები. ჩვენ გავაკეთეთ ამაზე რეაგირება როგორც 2015 წელს, ასევე დღესაც და ჩვენი მხრიდან ეს საკითხი დგას ყველა შესაბამის საერთაშორისო ფორმატში. დღეს ეს საკითხი ასევე განიხილება ეუთოს მუდმივ წარმომადგენლებთან შეხვედრის ფორმატში“, — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

რასმუსენი: შეერთებულმა შტატებმა მსოფლიო უანდარმის მისია უნდა იტვირთოს

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი თეთრი სახლის ლიდერს აკრიტიკებს. ანდერს ფოგ რასმუსენის თქმით, ობამა საერთაშორისო კონფლიქტებში უფრო აქტიურად უნდა ერეოდეს.

„ჩვენ გვსურს, შეერთებული შტატები საერთაშორისო ჟანდარმის ამპლუაში ვიხილოთ. ჩვენ ამერიკის გლობალური ლიდერობა გვესაჭიროება,“ — აღნიშნა ალიანსის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, რომელიც ამჟამად უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს მრჩეველია.

◎ დაზიანებული ფრესკები ვარძიაში

„ის, რაც 800 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა ვერც ერთმა მტერმა და მომხდურმა“...

ისტორიკოსი გიორგი კალანდია ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ფრესკის ფოტოს აქვეყნებს და წერს:

„აი ასე გამოიყურება დღეს მეფეთა-მეფე თამარის და დიდი გიორგი მესამის ფრესკა! ის, რაც 800 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა ვერც ერთმა მტერმა და მომხდურმა, ის გააკეთა შინაურმა, ოღონდ უფრო საშიშმა და სამარცხვინომ, რადგან ეს შინაური არის ბნელი და გაუნათლებელი! იმედი მაქვს, ეს იქნება კარგი გაკვეთილი მათთვის, ვისაც გონია, რომ საეკლესიო საგანძური მუზეუმებიდან უნდა გამოვიტანოთ, რომ ხატი თავის თავს დაიცავს, რომ მრვალსაუკუნოვანი ფრესკებისთვის სანთლის ჭვარტლი არაფერია. მორჩა და დასრულდა! იმისათვის რომ ჭკუა გვესწავლა, საფრთხის ქვეშ თამარის ფრესკა დავაყენეთ! იმედია, ჭკუას ახლა მაინც ვისწავლით! ვინც ამ თემაზე კამათს დამიწყებს ან ამ ფაქტის გამართლებას ეცდება, ჩემი მეგობრობიდან ვშლი. 21-ე საუკუნეა და ამიტომ უნდა გავიგოთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს უნდა განაგებდეს სახელმწიფო და არა ეკლესია!“,— წერს გიორგი კალანდია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.



უნდა დატოვონ თუ არა ბერებმა მონასტერი?

სპეციალისტები ვარძიის სამონასტრო კომპლექსიდან ბერების გამოსვლას ითხოვენ, რომლებიც მათი თქმით, იქ თვითნებურად შესახლდნენ, რამაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს სერიოზული საფრთხე შეუქმნა:

„90-იანი წლებიდან მოხდა ამ ბერების და მორჩილების თვითშესახლება თვითონ მუზეუმში. მათ აქვთ კელიებად გადაკეთებული ეს უნიკალური დარბაზები, ჩამოკიდებულია კარები, რომელიც ვიზუალურადაც აზიანებს ძეგლს, გარდა ამისა, ზამთრის პერიოდში, როდესაც გამათბობლების ჩართვა ხდება, უკვე ისედაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი ძეგლის კედლები კიდევ და კიდევ ზიანდება. რაღაცნაირად ვერ ხერხდება დღემდე სასულიერო პირებსა და მუზეუმის თანამშრომლებს შორის უფლებამოვალეობების გამიჯვნა. ვითხოვთ შსს-სგან, რომ ბოლომდე იყოს საქმე გამოძიებული“, — განაცხადა გამართულ ბრიფინგზე საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წარმომადგენელმა ნინო ბურჭულაძემ.

ამ საკითხს გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ სწორედ სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა დაიცვას ის, რაც გადაურჩა ხანძარს.

„ჩვენ ბოლო წლებში ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადმული ნაბიჯები გვაქვს. თქვენ იცით, რომ იუნესკოს საფრთხეში მყოფი ძეგლების სიიდან ამოვიდა ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლები. ასე რომ, მე დარწმუნებული ვარ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, პირველ რიგში, ძალიან სწრაფად მოახდენს რეაგირებას ამ საკითხზე. ჩვენ მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დავიცვათ ჩვენი ძეგლები, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს ასეთ შემთხვევასთან. სწორედ სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები, რომ დაიცვას ის, რაც გადაურჩა ხანძარს“, — განაცხადა ჯეჯელავამ.

გარდა ამისა, ვარძიაში, ღვთისმშობლის ტაძარში გაჩენილი ხანძრის შემდეგ, რამაც ფრესკის დაზიანება გამოიწვია, სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიურად დაიწყო მსჯელობა, სად უნდა ინახებოდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ირმა ინაშვილსა და ადა მარშანიას განიხილავენ

კანონმდებლობით „პატრიოტთა ალიანსს“ უფლება აქვს, პარლამენტში ვიცე-სპიკერი ჰყავდეს. ამ თანამდებობაზე კი პარტიის წევრი ნანა დევდარიანი ირმა ინაშვილსა და ადა მარშანიას ასახელებს.

„მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმისა, რომ არაადეკვატურად დაბალი ხმებით შევიდა „პატრიოტთა ალიანსი“ პარლამენტში, მათ უნდა გამოიყენონ ყველაფერი, რაც კანონით ეკუთვნით. ხმები კი ცოტა აქვთ, მაგრამ ნებისმიერი პოზიცია პარლამენტში მათ აძლევთ საშუალებას, მეტჯერ გააკეთონ განცხადება, მიიღონ მონაწილეობა დებატებში, მიიღონ მონაწილეობა პარლამენტის მართვაში. ახალგაზრდა პოლიტიკური ძალისთვის ეს მხოლოდ სკამი კი არ არის, ეს არის პოლიტიკური სკოლა, ეს ცოდნა დასაგროვებელია. შემდეგ იქნება კიდევ სხვა არჩევნები, იბრძოლებენ პარტიები და ამ უპირატესობას აუცილებლად სჭირდება გამოყენება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება ვიცე-სპიკერი, საუბარი მიდის, რომ შეიძლება იყოს ირმა ინაშვილი, ან გამორიცხული არ არის ეს იყოს ადა მარშანია, ძირძველი მიწის, აფხაზეთის წარმომადგენელი. ყველა შემთხვევაში ეს მათი გადასაწყვეტია“, — განაცხადა ნანა დევდარიანმა.

ლარის კურსი აუცილებლად გამყარდება

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებს, რომ ცუდი მოლოდინების არავითარი საფუძველი არ არსებობს და ლარის კურსი აუცილებლად გამყარდება.

„მინდა, სრული დარწმუნებულობით ვთქვა, რომ მაკროეკონომიკური პარამეტრები არ არის შეცვლილი, პირიქით, გაუმჯობესებულია. მათ შორის, გაუმჯობესებულია ჩამორიცხვები, რომელიც მანამდე შემცირებული იყო. იმპორტს აქვს შემცირების ტენდენცია, რაც ასევე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მთავრობის ანგარიშებზე იქნება დადებითი ცვლილებები დოლარის თვალსაზრისით. ნოემბრის ბოლოს - დეკემბერში ჩამოირიცხება აზიის განვითარების ბანკიდან თანხები. ვფიქრობ, რომ ეს არის მართლაც დროებითი და უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ კურსის გამყარებას და კურსი აუცილებლად გამყარდება“, — განაცხადა ხადურმა.

„რესპუბლიკური პარტია“ გორის ორგანიზაციის 60-მდე წევრმა დატოვა

„რესპუბლიკური პარტია“ გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ვახტანგ ბერკაცაშვილმა და პარტიის 60-მდე წევრმა დატოვა.

„პარტია ჩემთან ერთად დატოვა კიდევ 59 წევრმა. ჩვენ გავიარეთ კონსულტაციები ერთმანეთთან, არჩევნებამდე თითქმის ყველას გვქონდა გადაწყვეტილი, რომ პარტია დაგვეტოვებინა. მაშინ თავი შევიკავეთ, რადგან პარტიის არჩევნების დროს მიტოვება არ იქნებოდა კარგი. ახლა ჩვენ ვტოვებთ „რესპუბლიკურ პარტიას“. ჩვენ გორის რაიონის საკრებულოში გვაქვს ფრაქცია „რესპუბლიკელები“, მალე ჩვენი ფრაქცია გახდება დამოუკიდებელი“, — განაცხადა ბერკაცაშვილმა.

დავით-გარეჯიდან ლევილის დაბრუნებამდე

ამ ერთობ გაუგებარი სათაურის ამოხსნას ჩვენი პუბლიკაციის პოსტსკრიპტუმში წაკითხვის შემდეგ შეძლებთ.

მანამდე კი: საპარლამენტო არჩევნების მიერ ერთგვარად გადაფარული მოვლენის შესახებ ვესაუბროთ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძეს.

საქართველოსთვის ლევილის მამულის დაბრუნებაზე ვილაპარაკებთ.

— ლევილის მამულის დაბრუნებას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, — ამბობს ბატონი გელა, — ეს პროცესი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. სწორად გათვლილი და ენერგიულად განხორციელებული სტრატეგიის შედეგად მოხერხდა, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მეთაურთა ოჯახების წარმომადგენლებმა, ვისზეც გაფორმებული იყო ეს მამული, როგორც კერძო საკუთრება, დააფასეს ჩვენი შრომა, გვენდნენ და ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც მამული თავისი შატოთი (პარიზიდან 23 კილომეტრში), დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს — ქართველ ხალხს. იმ ფონზე, როცა საქართველოს დროებით აქვს დაკარგული თავისი ტერიტორიის ნაწილი, ამ აქტის ისტორიული მნიშვნელობა მრავალგზის იზრდება.

ძალიან ბევრი პრობლემა იყო მოსაგვარებელი: მთავარი მათ შორის — ქართული მხარისადმი არასათანადო ნდობის ხარისხი იმათი მხრიდან, ვისაც ჰქონდა ხელმოწერის უფლება, მოლაპარაკებათა არათანმიმდევრული ხასიათი და საკითხების არადეტალური განხილვა. ვგულისხმობ აკადემიურ განხილვას.

ჩვენი განახლებული კომისია ხელისუფლების მხრიდან აღჭურვილი იყო სრული ნდობითა და მხარდაჭერით.

— განახლებაში რას გულისხმობთ?

— მაგალითად, სტრატეგიულ ნაბიჯად მიმაჩნია იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მოწვევა, რომლის ღვაწლი ამ თემაში ფრიად სოლიდური იყო. ასევე, საფრანგეთში ჩვენი საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის გოჩა ჯავახიშვილის ჩართვა, რომელმაც მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ლევილის მფლობელ ქართულ ოჯახებთან, ფრანგულ ნოტარიატთან, საერთოდ, საფრანგეთის მხარესთან ურთიერთობის მოგვარებაში. გამოვყოფდი, აგრეთვე, ჩვენი ელჩის ეკა დელონე-სირაძის შედეგიან მონაწილეობას ამ პროცესებში. იგი სპეციალურად ჩავიდა იტალიაში, შეისწავლა „ვილა მედიჩის“ გამოცდილება, რომელიც ერთ-ერთ საფუძვლად დაედება ლევილის მამულის ახალი მიმართულებით განვითარებას და ა.შ.

— თქვენ გაკვრით მიმანიშნეთ, რომ მამულის მფლობელ ოჯახებს ჰქონდათ რაღაც პრეტენზიები.

— უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, ჰქონდათ მოთხოვნები, რომელთა შორის უმთავრესი იყო ის, რომ მამულს უნდა შენარჩუნებოდა ისტორიული პროფილი. ეს მოთხოვნა აბსოლუტურად გავიზიარეთ. აქ მოეწყობა ქართულ-ფრანგული კულტუროლოგიური კერა. ქართველი ახალგაზრდა მეცნიერები როტაციის წესით ჩავლენ ლევილში და იმუშავებენ ამ მიმართულებით, მოამზადებენ თემებს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის დამოუკიდებელი საქართველო, მისი გმირები, პირველი რესპუბლიკა და მისი მეთაურები და ასე შემდეგ. ღია ტიპის საზოგადოება, რომელიც იქ შეიქმნება, უზრუნველყოფს მამულის ახალ სიცოცხლეს და სამეცნიერო და კულტუროლოგიური პროცესების მჩქეფარებას.

უახლოეს მომავალში განხორციელდება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე მამულის გადაცემა, როგორც საქართველოს კერძო საკუთრებისა. ამ საქმეს მოაგვარებს ახალი სამუშაო ჯგუფი ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლების შემადგენლობით.

ჩვენი მხარე ჩართულია აღნიშნულ პროცესებში ისე, როგორც გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის წლევანდელი აპრილისა და მაისის ორ, ძალიან სერიოზულ განკარგულებაში. ეს ცალკე უნდა აღვნიშნოთ.

— კი ბატონო, მაგრამ, მანამდე, თუ შეიძლება, თვით ლევილის მამულის ისტორიულ მნიშვნელობაზე, იმ დოკუმენტებზე, არტიფაქტებზე უთხრათ ჩვენს მკითხველებს ორიოდ სიტყვა, რომლებიც იქ ინახება.

— მამულში დღესაც არის მდიდარი ბიბლიოთეკა, უამრავი წიგნითა და დამოუკიდებელი საქართველოს უამრავი პერიოდული გამოცემით. აქვს მასალები ქართულ და უცხოურ ენებზე, მიმოწერა, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის მოღვაწეობას, სხვა ქვეყნებისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ დროს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტების უზარმაზარი მასის მეცნიერულ შესწავლას, კვლევას წლები დასჭირდება. ეს მარტო ისტორიოგრაფების საქმე არ არის, აქ შეეძლებათ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის გაშლა მწერლებს, ჟურნალისტებს...

— გმადლობთ. ახლა კი, თუ არ შეწუხდებით, საქართველოს მთავრობის იმ დადგენილებებს დავუბრუნდეთ, რომლებიც ლევილის მამულთან დაკავშირებით არის მიღებული.

— ამ დადგენილებების განხორციელებამ უზრუნველყო ჩვენი საქმიანობის წარმატება. ეს უპირველეს ყოვლისა.

მინდა, ხაზი გავუსვა იმ ფილოსოფიას, რომელმაც ეს წარმატება მოგვიტანა.

უპირველესი ჩვენი ხედვა არის ის, რომ ღირსეულად ვაფასებთ ყველა წინამორბედის, ხელისუფალი იქნება, მეცნიერი თუ უბრალოდ პიროვნება, გაწეულ ღვაწლს, თუნდაც მცირეს, რომელიც მიმართული იყო ლევილის მამულის საქართველოსთვის დასაბრუნებლად.

ჩვენს თანამემამულეებთან პირველსავე შეხვედრაზე მე, როგორც ქართული პარიტეტული კომისიის თავმჯდომარემ, ჩვენს თანამემამულეებს განვუცხადე, რომ არც მე, არც ჩვენი კომისია, არ ვართ მხარე, არამედ თქვენიანები ვართ, თქვენი წინაპრები ჩვენი წინაპრებიც არიან, ამიტომ ჩვენ ვიქნებით ლევილის მამულის უფლებათა ნომერ პირველი დამცველები. გავუხსენით, ასე ვთქვათ, ჩვენი გულის კარი და ამით მივაღწიეთ ნდობის მაღალ ხარისხს. მოვუყევით იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც საქართველოში განვახორციელეთ საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებით, მათ შორისაა ფუნდამენტური ალბომების და ბროშურების გამოცემა, პირველი რესპუბლიკის მეთაურთა სახელები დაერქვა ორ ქუჩას, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მარცხენა ფლიგელთან გაიხსნა პირველი რესპუბლიკის ბაღი, სადაც ხელი მოეწერა წინასწარ განზრახულებათა ოქმს საქართველოსთვის ლევილის მამულის გადმოცემის შესახებ, მოეწყო ლევილში დაცული და სხვა დოკუმენტების გამოფენა იუსტიციის სამინისტროს თაოსნობით და ა.შ. და ა.შ.

ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობამ გამოჰყო 107 ათასი ევრო ლევილის მამულის წინასწარი დიაგნოსტიკური შეფასებისთვის (ასეთი იყო ფრანგული მხარის მოთხოვნა) და დაიდო 700-გვერდიანი ფუნდამენტური დოკუმენტი მამულის ყოველმხრივი კვლევით მიღებული შედეგების.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ორ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, კერძოდ, ისიც, რომ ლევილის მამულის ჩვენთვის გადმოცემის შემდეგ, ათი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა გაიღებს 5 მილიონ 600 ათას ევროს ლევილის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისთვის.

ამ ყველაფერმა, როგორც ვთქვი, შექმნა ფრანგული მხარის ჩვენდამი მაღალი ნდობის ხარისხი, და 23 სექტემბერს თბილისის დროით 19 საათსა და 15 წუთზე, ლევილში, კერძოდ, შატოში (სასახლეში) ხელი მოვაწერეთ იმ ისტორიულ დოკუმენტს, რომელზეც ვლაპარაკობთ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მონიჭებული უფლებამოსილებით შეთანხმებას მე მოვაწერე ხელი, და დაუბრუნდა მამული მის კანონიერ მემკვიდრეს — ქართველ ხალხს.



ჩამოსვლისთანავე თავისთან მიმიხმო მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ და თქვა, რომ ლევილის დაბრუნება საქართველოს ისტორიისთვის დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია.

არმაზ სანეგლიძე

P. S. ჩვენს მკითხველებს შევახსენებ, რომ ბატონი გელა დუმბაძე ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან იბრძოდა საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად. იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განსაკუთრებულად გამორჩეული ჯგუფის წევრი, რომელმაც 1980-იანი წლების ბოლოს წამოიწყო დიდად რეზონანსული და მასშტაბური მოძრაობა დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად და გაიმარჯვა. ახალგაზრდებმა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელების მხარდაჭერით უკან დაახევინეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს და კომპლექსის ტერიტორიაზე შეწყდა სიკვდილის მთესველი და სამონასტრო კომპლექსის დამანგრეველი საარტილერიო ჭურვების გამოცდა, ტანკების საბრძოლო მანევრები, ყოველგვარი საწვრთნელი სწავლება და საბოლოოდ გაუქმდა აქ არსებული სამხედრო პოლიგონი.

ეს იყო, პირდაპირ ვთქვათ, მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიიდან საბჭოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზის გაყვანის მანამდე წარმოუდგენელი პირველი ფაქტი.

საქართველოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმული პირველი რეალური ნაბიჯი, რომელიც 1989 წლის 9 აპრილამდე ერთი წლით ადრე გადაიდგა.

ა. ს.

მოსწავლეთა ჩანთები შემსუბუქდება

განათლების მინისტრი აცხადებს, რომ მომავალი წლიდან მოსწავლეთა ჩანთები შემსუბუქდება. ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, ახალი წიგნები იქნება უფრო მსუბუქი, მისივე განმარტებით, ეს რეგულაციები უკვე მომზადებულია და ამჟამად გამომცემლებთან მიმდინარეობს განხილვა. დაგეგმილ ცვლილებებზე განათლების მინისტრმა მთავრობის სხდომის შემდეგ ისაუბრა:

„პროგრამების გადამუშავებაზე მოგვიწევს მუშაობა. მე არაერთხელ ვთქვი, რომ ჩანთის სიმძიმე მარტო წიგნის სიმძიმიდან არ გამომდინარეობს, გაკვეთილების სიმრავლიდანაც გამომდინარეობს. შვიდი და რვა გაკვეთილი თუ აქვს ბავშვს, ცხადია, რომ მეტი წიგნი და რვეული უნდა წაიღოს. მეორე ცვლილებები იქნება, რომ ჩვენ შუა კლასებში უნდა განვტვირთოთ სასწავლო პროგრამა და ამ მიმართულებით ვმუშაობთ.

მესამე ცვლილება არის ის, რომ უნდა გაჩნდეს ნებაყოფლობით ალტერნატივად ელექტრონული სახელმძღვანელო, ანუ ოჯახს თუ სურვილი აქვს, ბავშვმა სახლში ქაღალდის წიგნებით იმუშავოს, მაგრამ სკოლაში ელექტრონული ასლები ჰქონდეს, ამის საშუალება უნდა ჰქონეს, თუმცა ეს ოჯახის გადასაწყვეტია, უნდა თუ არა, რომ მისმა შვილმა ელექტრონული სახელმძღვანელოებით ისარგებლოს. ასე რომ, მომავალ წელს უკვე შემსუბუქდება ჩვენი მოსწავლეების ჩანთები, იმის შემდეგ წლებში კი კიდევ უფრო შემსუბუქდება. თუმცა, დღესაც მინდა ვთქვა, რომ არსებობს ალტერნატივა, რომ ყოველ დღე ყველა წიგნი არ ატაროს მოსწავლემ“, — განაცხადა ჯეჯელავამ.

მომავალი წლიდან მასწავლებლების საშუალო ანაზღაურება 800 ლარს მიაღწევს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მასწავლებელთა ხელფასების ზრდაზე საუბრობს და ამბობს, რომ მასწავლებელების ხელფასების ზრდა, როგორც იყო დაპირებული, ზუსტად იმ მოცულობით იქნება ასახული მომავალი წლის ბიუჯეტში — **„მომავალი წლის დასაწყისშივე, პირველივე თვიდან იზრდება მასწავლებლების ანაზღაურება და საშუალო ანაზღაურება მიაღწევს 800 ლარს“,** — განაცხადა ჯეჯელავამ.

◎ პიკანტური ვითარება

კვლავ „კავკასიური ცარცის წრის“ მსგავსი სიუჟეტი?!

ახალი პარლამენტი – ისევ თბილისსა და ქუთაისს შორის?

ახალი პარლამენტის შეკრების თარიღი ცესკოს მიერ არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების მიხედვით დაზუსტდება და პირველი სხდომა, სულ გვიან, 19 ნოემბერს გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ მეცხრე მოწვევის პარლამენტის პლენარული სხდომები კვლავ ქუთაისში გაიმართება და თანაც, პრემიერ-მინისტრის დაპირების თანახმად, პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი აღარ გადაიხედება რამდენიმე წლის განმავლობაში. რატომ დაკარგა აქტუალობა პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის? თემას ლელა კუნჭულია განავრცობს.

„ქართული ოცნება“ – 115 დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობა“ – 27 დეპუტატი, „პატრიოტთა ალიანსი“ – 6 დეპუტატი და კიდევ 2 – დამოუკიდებელი დეპუტატი – ამ ეტაპზე ცესკოში არსებული მონაცემებით, მე-9 მოწვევის პარლამენტს სწორედ ასეთი შემადგენლობა ექნება. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი კახიანის გამოთვლით, პარლამენტის პირველი სხდომის გამართვა მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების საბოლოო, შემაჯამებელ ოქმს გამოაქვეყნებს:

„მოგეხსენებათ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამისათვის აქვს (არჩევნების) მეორე ტურიდან, ყველაზე მეტი, 19 დღე და მეორე ტურის შემდგომ, არაუგვიანეს 20 დღისა, უნდა ჩატარდეს პარლამენტის პლენარული სხდომა... ცენტრალური საარჩევნო კომისია დამოკიდებულია საჩივრების მსვლელობაზე. ჩემი ინფორმაციით, გუშინ (1 ნოემბერს) დასრულდა მეორე ტურის შემდეგ გასაჩივრების ვადა და 260-მდე საჩივარია აღრიცხული. ამ საჩივრებს თავისი განხილვის წესი აქვთ, ისინი შესაძლოა, სასამართლოში გასაჩივრდეს და ასე შემდეგ – ყველაფერი ეს გარკვეულ ვადასთან არის დაკავშირებული... თუ მოხდა ისე, რომ ჩვენ მოგვიწია მეოცე დღეს შეხვედრა, ეს იქნება 19 ნოემბერი – შაბათი დღე“.

გიორგი კახიანი ახალი პარლამენტის ამოქმედებას რაც შეიძლება სწრაფად ისურვებდა, რადგანაც – ახალი მთავრობის დამტკიცების საკითხის გარდა, მისი თქმით, სასწრაფო ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი, რომლის მიღებასაც უკვე ვეღარ შეძლებს მერვე მოწვევის პარლამენტი. კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, არჩევნების მეორე ტურის გამო, პროცესმა მეტი დრო მოითხოვა და გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზებიც გამოავლინა, ბიუჯეტის შესახებ კანონის დამტკიცების ვადების მიმართ.

ასეა თუ ისე, პარლამენტის პირველი სხდომა, რომელსაც პრეზიდენტი გახსნის, აუცილებლად ისევ ქუთაისში გაიმართება – დღეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად. მართალია, „ქართულ ოცნებას“ ახალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება და საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება არ გაუჭირდება, ფაქტია, რომ მმართველ პარტიას ძველებური სურვილი აღარ ამოძრავებს პარლამენტის მთლიანად თბილისში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. ეს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმაც აღნიშნა 29 ოქტომბერს ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში:

„...რამდენიმე წელი მაქვს მხედველობაში, – არავითარ შემთხვევაში არ დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში და მინდა ვთქვა, რომ დღეს არის საშუალება, რომ საკომიტეტო მუშაობა გაიმართოს თბილისში – უკვე განახლებულ პარლამენტის შენობაში... ამიტომ, ვფიქრობ, რომ პლენარული სხდომების ქუთაისში გამართვა არანაირ პრობლემას არ ქმნის. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი არ უნდა იყოს აქტივიზებული უახლოეს მომავალში, რამდენიმე წელიწადში... თუ რაიმე ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, აუცილებლად უნდა იქნას ქუთაისის მოსახლეობასთან ეს საკითხი ძალიან აქტიურად განხილული და მიღებული მათგან თანხმობა“.

რატომ აღარ გამოხატავს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ძველებურ მონდომებას პარლამენტის თბილისში დაბრუნების თემასთან დაკავშირებით?

როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი ალიკა კუპრავა აღნიშნავს რადიო „თავისუფლებასთან“, შესაძლოა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იმერეთის რეგიონის და, კერძოდ – ქუთაისის მკვიდრთა გაღიზიანებას ერიდება, ანდა, მართლაც, სათანადოდ შეაფასა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც რეგიონმა მიიღო საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის ქუთაისისთვის მინიჭებით. თუმცა, ანალიტიკოსი სავარაუდო პოლიტიკურ შემადგენელზეც საუბრობს, რომელიც შეიძლება, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამაც გაითავისა და ხელსაყრელად მიიჩნია:

„...ყველა საპროტესტო მანიფესტაცია, რომელიც წარსულში ჩატარებულა, იმართებოდა ხოლმე რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობასთან, რადგანაც პროტესტის ეპიცენტრი, ხშირ შემთხვევაში, იყო რუსთაველის გამზირი და, შესაძლოა, ამ მიმართულებაზეც იყოს (ხელისუფლების) გათვლა, რომ დედაქალაქიდან პარლამენტის გადატანა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ პროტესტი იქ, თუნდაც ხალხის შეკრების თვალსაზრისით, შეიძლება იყოს პრობლემური“.

პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხის მიმართ „ქართული ოცნების“ ერთ დროს ძალიან დიდი ინტერესის შესუსტებას საკითხის მარგინალიზებით ხსნის კონსტიტუციონალისტი კოტე ჩოკორაია. ამასთანავე, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ – შესაძლოა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს უკეთ დაინახეს ქუთაისელების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და ამიტომაც აიღეს ხელი განზრახვაზე.

ლელა კუნჭულია

◎ მომხმარებლის უფლებები

როცა პატივისცემით გეპყრობიან...

უთუოდ აღსანიშნავი და მისასალმებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. აღნიშნული ქმედებები ორ ასპექტს მოიცავს: ერთი მათგანია მომხმარებელთათვის ხანდაზმულ და არასწორად დარიცხულ დავალიანებათა ჩამოწერა, მეორე კი – კომპანიებისთვის ახალი რეგულაციების დაწესება, რის მიზანია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები მომხმარებელთა წინაშე ხშირად არასწორად დარიცხული თანხებითა და უხარისხო მომსახურებით რომ სცოდავენ, არც ახალი ამბავია და არც მარტო ჩვენში გავრცელებული სენია. წლეულს, სადღეისოდ დაჯამებული მონაცემებით, იანვარ-სექტემბერში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის (სემეკის) მოქალაქეთა საჩივრების დეპარტამენტში 1760 აბონენტის განცხადება/საჩივარი შევიდა. ყველაზე მეტი უკამაყოფილო აბონენტი ელექტროენერგიით მომარაგების სექტორში სს „თელასს“ ჰყავს – 783, გაზმომარაგების სექტორში – შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ (599), წყალმომარაგების სექტორში კი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსს“ (211).

სემეკში მომხმარებელთა მიმართვების შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა დისტრიბუტორთა მიერ მათზე უსაფუძვლოდ დარიცხულ გადასახადებსა და ხანდაზმულ დავალიანებებს ეხება (აქვე განვმარტავთ, რომ ხანდაზმულად აბონენტის ის დავალიანება ითვლება, რომელზე მოთხოვნის დროიდან სამ წელზე მეტია გასული, რაც „საქართველოს სამოქალაქო კოდექსითაა“ განსაზღვრული). დისტრიბუტორ კომპანიას, ხანდაზმული დავალიანების შემთხვევაში, აბონენტისთვის მისი გადახდის მოთხოვნა შეუძლია, თუმცა კი მომხმარებელს, თავის მხრივ, ამ ტიპის დავალიანების აღიარებასთან დაკავშირებით შეუძლია ან მიმწოდებელ კომპანიასთან ხელშეკრულება აღარ გააგრძელოს, ანდა ენერგოომბუდსმენის ინსტიტუტს მიმართოს, სემეკი კი კონკრეტული დავალიანების ჩამოწერა-არჩამოწერის საკითხს განიხილავს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მომხმარებლები ძალიან ხშირად დისტრიბუტორების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მიმართაც გამოთქვამენ საყვედურებს, რადგან მთელ რიგ შემთხვევაში სერვისები არადამაკმაყოფილებელია.

სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ **ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიამ ელექტროენერგიით, ბუნებრივი გაზითა და სასმელი წყლით მომხმარებელთა მომარაგების სეგმენტებში ახალი რეგულაციები შემოიღო, რის მიზანი აღნიშნულ საყოფაცხოვრებო სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა.** ახალი წესებით განისაზღვრა დისტრიბუტორი კომპანიების მიერ ცხელ ხაზზე მომხმარებლების პასუხის გაცემის დრო, მომსახურების გეგმური და დაუგეგმავი წყვეტის, ასევე მისი აღდგენის ვადების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, დადგენილი სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში აბონენტთა სასარგებლოდ გადასახდელი საკომპენსაციო თანხების ოდენობა. ისიც უნდა ითქვას, რომ **„მომსახურების კომერციული ხარისხის წესების“ ახალი რეგულაციის დებულებით, დისტრიბუტორი კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მან დაზარალებულ მომხმარებელს სააბონენტო ბარათზე საკომპენსაციო თანხა 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა დაურიცხოს.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის თუ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანია ვალდებულია აბონენტის მიერ შერჩეული ფორმით (ელექტრონული ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით) აცნობოს მას დაგეგმილი შესაკეთებელი სამუშაოების შესახებ ხუთი დღიდან მოყოლებულ ვადაში, ოღონდ არაუგვიანეს 24 საათით ადრე, თანაც სამუშაოთა დაწყების დროისა და მათი ხანგრძლივობის მითითებით.

მომსახურების დაუგეგმავი შეწყვეტის შემთხვევაში კი დისტრიბუტორმა კომპანიამ მისი აღდგენა 6 საათის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს, თუმცა კი, შესასრულებელ სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო ეს ვადა, შესაძლოა, 12 საათამდე გაიზარდოს, რის თაობაზე აბონენტი ასევე დროულად უნდა იყოს ინფორმირებული შეყოვნების მიზეზის ახსნით და აღდგენის სავარაუდო დროის მითითებით. საგულისხმოა ისიც, რომ **დისტრიბუტორმა კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო საინფორმაციო ცენტრების 24-საათიანი რეჟიმით მუშაობა, სადაც მომხმარებელმა პასუხი შეკითხვის დასმიდან 60 წამში უნდა მიიღოს.**

აღნიშნულის გარდა, წესები ასევე არეგულირებს დარიცხული გადასახადის გადაუხდელობის მიზეზით მომსახურებიდან გათიშული აბონენტის ჩართვის სტანდარტებსაც. კერძოდ კი აღნიშნულია, რომ **დროებით გათიშული მომხმარებლისთვის კონკრეტული სერვისის მიწოდება უნდა აღდგეს დავალიანების აღმოფხვრის, ანდა მის მიერ გადახდის ქვითრის წარდგენიდან არაუგვიანეს სამი საათის განმავლობაში.**

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ წლევანდელ იანვარ-სექტემბერში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიების მიერ აბონენტზე უსაფუძვლოდ დარიცხული თანხებისა და სემეკის მიერ ხანდაზმულ დავალიანებათა ჩამოწერილი სახსრების მთლიანმა ოდენობამ, რის თაობაზე შესაბამისი განცხადება/საჩივრები იყო წარდგენილი, 2 მილიონ 846 ათასი ლარი შეადგინა.

ოთარ ტურაბელიძე

სასიამოვნო სიახლე მაგთისატისა და მაგთის IP ტელევიზიის მომხმარებლებისთვის!

4 ნოემბრიდან მაგთისატის და მაგთის IP ტელევიზიის მომხმარებლები დამატებით სხვადასხვა ჟანრის და თემატიკის 8 მაღალრეიტინგულ არხს მიიღებენ.

კინოარხები მაღალშემოსავლიანი ბლოკბასტერებით, მძაფრსიუჟეტიანი თრილერებითა და პრესტიჟული კინოფესტივალების ნომინანტი ფილმებით:

- ..TV 1000
- ..TV 1000 Action
- ..TV1000 Русское Кино

შემეცნებით/საგანმანათლებლო არხები საუკეთესო დოკუმენტური ფილმებითა და გადაცემებით ისტორიულ მოვლენებზე, მოგზაურებსა და მკვლევარებზე, ცხოველთა სამყაროზე:

- ..Viasat History
- ..Viasat Nature
- ..Viasat Explore
- ..Da Vinchi Learning

სპორტული არხი - Viasat Sport - სპორტის ახალი ამბებით, პირდაპირი ტრანსლაციებით, NBA - უმაღლესი საკალათბურთო ლიგის მატჩებით, ბეისბოლით, ამერიკული ფეხბურთით, კრივით და სხვა.

მაგთი MAGTI

ნარკოტიკებთან ბრძოლა და კანონის აღსრულება ქართულ-ამერიკული ტანდემით

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლისა და კანონის აღსრულების საერთაშორისო ბიუროს (INL) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა და საქართველოში INL-ის პროგრამის დირექტორმა მაიკლ მაკმენმა მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, INL განაგრძობს პენიტენციისა და პრობაციის სისტემის რეფორმის მხარდაჭერას სასწავლო პროგრამებით, ტექნიკური დახმარებითა და სხვა სახის ღონისძიებებით. დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და აქტივობებს შორისაა მხარდაჭერა პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხო და ეფექტიანი მართვის პრინციპებისა და პრაქტიკის დანერგვაში; მსჯავრდებულთა საზოგადოებაში წარმატებული დაბრუნების ხელშეწყობა რისკის შემცირების, დასაქმებისა და პროფესიულ სასწავლო პროგრამებში ჩართვის გზით; თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; პატიმრობის ალტერნატიული სასჯელების გაფართოება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა მაიკლ მაკმენთან შეხვედრაზე საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიულ თანამშრომლობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ამერიკულ მხარესთან პარტნიორობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მისი თქმით, აშშ-ის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობით გრძელდება მუშაობა მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით კლასიფიკაციის სისტემის გაუმჯობესებაზე, წინასასამართლო პრობაციის დანერგვაზე, მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებსა და სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაზრდაზე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ არაერთხელ უმასპინძლა ვისკონსინის შტატის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დელეგაციებს, ასევე, შედგა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენელთა ვიზიტები აშშ-ში. გარდა ამისა, უწყების თანამშრომლებმა აშშ-ში სასწავლო კურსები გაიარეს. მისი თქმით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის განვითარების ახალ ეტაპზე ამერიკული მხარის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

დიდ წარსულს დიდი პატრონობა სჭირდება

გამოვიდა „ფაზისის“ საერო - სამეცნიერო აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მე-10 ტომი

ახლახან მკითხველებმა მიიღეს ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მორიგი, მე-10 ტომი, რომელიც ერთგვარად აჯამებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში აკადემიის მიერ გაწეულ საქმიანობას. მასში გაშუქებულია მოვლენების ფართო სპექტრი დასაბამიდან დღემდე. აქვე იბეჭდება სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ქვეყნის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით, საქართველოზე, კერძოდ, კოლხეთის ისტორიის საკითხებზე. იდუმალებით მოსილი საუკუნეების სამზეოზე გამოტანა რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმეა. ცივილიზაციის სათავე — კოლხეთი, მისი ენა, კულტურა, დამწერლობა, უნიკალური ფენომენია ერთიანი საქართველოს არეალში. ლეგენდა არგონავტებზე, საქართველოს — კოლხეთის ძლიერების აპოთეოზია ძვ. წ.ა XIV-XVIსაუკუნეებში. დიდ წარსულს მოვლა-პატრონობა სჭირდება, რაც უფრო უახლოვდები ფესვებს, მით უფრო ძლიერი და მდიდარი ხარ.

ჟურნალში უპირველესად დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს სულიერი ლიდერის **ილია მეორე აღმაშენებლის** ღვაწლს ეკლესიის, ერისა და ქვეყნის წინაშე. აქვე იბეჭდება პატრიარქის დიდებული ლექსი „ყველაფერი კარგად იქნება“, საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები, როგორც სულიერი ამაღლებით ღმერთთან მისასვლელი გზის გამკვალავი ჭეშმარიტებით, სიყვარულით აღვსილი ქადაგებანი.

იშვიათია პიროვნებები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ქვეყნის აღმასვლასთან, ეროვნულ ფენომენთან ასოცირდებიან. **ნუგზარ ნადარაიას** ცხოვრება ამ დიდი სამსახურის ნამდვილი მაგალითია. შარშან რუსთაველის თეატრში აღინიშნა „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის ნუგზარ ნადარაიას დაბადების 70 წლის იუბილე, რომლის მასალებიც ქვეყნდება ჟურნალში. განვლილი გზის გადასახედიდან დანახული ცხოვრება ჩანს მის ავტობიოგრაფიულ წერილში **„გულის არქივში ნათლად ჩაქარგული გონების ღაღადისი“**, ეს მართლაც დიდი გამოცდილებით, სენტენციებით, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული წერილია, როგორც მართალი კაცის ცხოვრებიდან წამოსული სიბრძნე. ცხოვრებისა და საქმიანობის საქვეყნოდ განსჯა მამულიშვილურ გრძნობებს უფრო აღვივებს და განგვაწყობს სახელმწიფო საქმეთა საკეთებლად.

ჟურნალში ქვეყნდება „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის კონფერენციის მასალები, რომელიც ხობსა და ფოთში გაიმართა და ნუგზარ ნადარაიას იუბილეს მიეძღვნა.



კონფერენციაზე **კონსტანტინე გამსახურდიამ** წაიკითხა მოხსენება „კოლხეთის მეფეები,“ მან წარმოადგინა კოლხეთის, ლაზიკისა და ეგრისის მეფეთა ნუსხა, რომელიც ნაკლებად ცნობილი იყო საზოგადოებისათვის.

საინტერესო მასალებია თავმოყრილი **ლეილა დანელიას** მოხსენებაში, „ჭყონდიდის როლი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში“.

იგორ კეკელიამ წარმოადგინა მოხსენება „ხობის წყლისა და ჭანისწყლის ხეობების ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევზე“.

რევაზ პაპუაშვილი თავის ნაშრომში „კოლხეთის უძველესი ოქრო“ სიღრმისეულად გადმოგვცემს ამ დიდი საგანძურის პერიპეტიებს, ის აღნიშნავს, რომ სტრაბონის მიერ ხსენებული ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობები ოქროთი მდიდარ ქვეყანაში, მკვლევართა ვარაუდით, ძვ.წ II ათასწლეულის დასასრულს ან ძვ. წ I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში უნდა შემდგარიყო.

აქვე ქვეყნდება **რეზო პაპუაშვილის** წერილი „დედაღვთაებანანა, თეთრონისა და პალიასტომის ღვთისმშობლის ხატები“, ფაზისის როგორც სამიტროპოლიტოს მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ 553 წელს მეხუთე საეკლესიო კრებას სხვებთან ერთად ფაზისელი ეპისკოპოსებიც აწერენ ხელს.

ვახტანგ ქანდარია თავის სტატიაში „იაკობის დედაენა და ასონიშნებით გადმოცემული საიდუმლო“, ქართული ასონიშნების სახელდებებზე გვაწვდის ისტორიულ მასალებს.

„ფაზისი კოლხეთის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი“ — ამ მოხსენებით გამოვიდა **ნუგზარ ნადარაია** „ფაზისის“ აკადემიის სამეცნიერო კონფერენციაზე ფოთში.

ახალი მეცნიერული ფაქტებია წამოწეული **ვლადიმერ გაგუას** სტატიაში („კოლხეთის, ფაზისის რიტორიკული ცენტრის“) სკოლის სათავეებთან.

გასავ გასვიანის ნაშრომში „ცივილიზაციის სათავეებთან“ აქამდე უცნობი მასალებია წარმოდგენილი ედემის ბაღის ადგილმდებარეობის, იბერიისა და ცივილიზაციის წარმოშობის საკითხებზე.

მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა **რამაზ გახოკიძემ** კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება, „კოლხური ცივილიზაციის როლი ქიმიური ტექნოლოგიის ჩასახვასა და განვითარებაში“.

ჟურნალში იბეჭდება **სილოვან გვასალიას** მოხსენება „ფოთს აღუდგეს მისი ისტორიული სახელი“. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ფოთისათვის მისი ისტორიული სახელის აღდგენა არის საწინდარი ქალაქის აღმშენებლობისა და მისთვის ძველი დიდების დაბრუნებისათვის, ვინაიდან სახელწოდება „ფაზისი“ მსოფლიოში ასოცირდება ნავმისადგომთან, სანაოსნოსთან, ეს იყო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი.

გია კვაშილავა კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით, „პროტო ქართველების, საერთო ქართველური ენისა და წარწერების შესახებ“.

დიდი ინტერესი გამოიწვია ასევე **პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელის** სენსაციურმა აღმოჩენამ — „ოქრო, რომლითაც დაფარულია ეგვიპტის ფარაონის ტანსაცმელი და სარკოფაგები, კოლხურია“.

ჭიჭიკო და **ზურაბ ჯანელიძეების** მოხსენება — „ქალაქ ფაზისის მდებარეობის ადგილის დადგენის პრობლემა გეოგრაფიული თვალთახედვით,“ ამომწურავ პასუხს იძლევა ამ თემაზე, რამდენადაც მავანი საეჭვოდ ხდის ფაზისის ისტორიულ მდებარეობას ფოთში.

ჟურნალ „ცოტნეიდელში“ დაბეჭდილია ლექსები, პოემები, დიდ მამულიშვილთა საიუბილეო მილოცვები, ბევრი მასალაა საეკლესიო სიწმინდეებზე, მონასტრებზე, არქეოლოგიურ კვლევებზე, მოკლედ, ლამის მთელი სამყაროა თავმოყრილი, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს მეცნიერული ცოდნის ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას, იმ ქვეყნისა, რომელსაც უნდა წაართვან თვითმყობადობა, დიდი წარსული და უმოწყალოდ ჩაითრიონ გლობალიზაციის მორევში.

ზურაბ აბრალავა,

„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ.კორ.

ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲐ ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲚᲝᲠᲫᲘᲜᲝᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ!

რა იქნება საქართველოს ფუნქცია შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში, ეს საკითხი, სავარაუდოდ, თებერვალში გაირკვევა. თუმცა, საკითხის გარკვევამდე ამერიკელი ექსპერტი **რიჩარდ ვაიტსი** აცხადებს, რომ ვაშინგტონი და დასავლეთი უნდა ეცადოს, საქართველოს მისწრაფება ევროკავშირთან და NATO-სთან მიმართებაში იმედგაცრუებაში არ გადაიზარდოს.

ჰუდსონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში მოხსენებით გამოსვლისას რუსეთის მიერ ჰიბრიდული ომის წარმოებასა და პროპაგანდის საკითხს შეეხო და განაცხადა, რომ დასავლეთს უნდა ჰქონდეს სტრატეგია, თუ როგორ გაუმკლავდეს მსგავს გამოწვევებს.

„ვაშინგტონი და დასავლეთი უნდა ეცადოს და აქტიურად იმუშაოს იმაზე, რომ საქართველოს მისწრაფება ევროკავშირთან და NATO-სთან მიმართებაში არ გადაიზარდოს იმედგაცრუებაში, რაც შეიძლება შემდეგ ჩანაცვლდეს რუსეთის მხრიდან არგუმენტებით, რომ დასავლეთს თქვენ არ სჭირდებით და ჩვენ უფრო ახლოს ვართ თქვენთან ღირებულებებით და კონსერვატიული ფასეულობებით“, — აღნიშნა რიჩარდ ვაიტსმა.

როგორც ექსპერტი აცხადებს, ამერიკამ და საქართველომ უნდა გააგრძელონ მუშაობა თავდაცვის და უსაფრთხოების მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის გასაღრმავებლად, განსაკუთრებით, ტერორიზმთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოების და რეგიონული უსაფრთხოების კუთხით.

„საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობა ამერიკისთვის ხელსაყრელია და შემდეგმა ადმინისტრაციამ ამ კუთხით საქართველოსთან თანამშრომლობა უნდა განაგრძოს. NATO-ს წევრობისკენ სწრაფვასთან ერთად, შტატები უნდა დაეხმაროს საქართველოს თავდაცვითი შეარაღების გაძლიერებაში და უნდა განიხილოს NATO-ს სარდლობით შავი ზღვის თავდაცვითი ერთეულის შექმნა“, — განაცხადა რიჩარდ ვაიტსმა.

აღსანიშნავია, რომ ქართველ საზოგადოებაში იმედგაცრუება NATO-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით იკლებს და ამასვე ადასტურებს 2016 წლის 27 ივლისს NDI-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვით, საგარეო პოლიტიკის მხრივ მოქალაქეები სტაბილურად უჭერენ მხარს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მოსახლეობის 64%, ხოლო ევროკავშირში გაწევრიანებას 72% უჭერს მხარს. მოქალაქეების უმრავლესობას სჯერა, რომ ქვეყანა სარგებელს მიიღებს ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციით, მაშინ როდესაც 29 პროცენტი რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების სანაცვლოდ უარს იტყოდა დასავლურ ინტეგრაციაზე.

ექსპერტის **სოსო ცისკარიშვილის** განცხადებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსა და ნატოს შორის არსებობს ერთი სუბიექტი, რომელსაც ჰქვია რუსეთი. მისი თქმით, ამერიკელები და ევროპელები ამას კარგად ხვდებიან და შესაბამისი თავის შეკავებაც, ამ მოტივიდან გამომდინარეობს.

„საუბარი იმაზე, რომ არაფერს აკეთებენ ჩვენი ქვეყნის ნატოსთან დასაახლოებლად, ნამდვილად უმადურობა იქნება. ისეთი მკაფიო გზავნილი საქართველოსთვის, რასაც ჰქვია ნატოს გაძლიერებული ინტერესი შავი ზღვის მიმართ და ასეთი ცვლილებები, როგორც დიპლომატიური, ასევე სამხედრო შემადგენელი, უკვე სახეზეა და სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ არა მხოლოდ ნატოს ინტერესებზეა საუბარი, არამედ ამ ეტაპზე ითვალისწინებენ საქართველოს ინტერესებსაც. ასე რომ, უიმედობის მიზეზი არ გვაქვს. მკაფიოდ გვითხრეს, რომ ამჟამად ასეთ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, ხოლო რა იქნება საქართველოს ფუნქცია შავის ზღვის უსაფრთხოების საკითხებში, ამაზე თებერვალში ვისაუბრებთ“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

როგორც ცისკარიშვილი აცხადებს, ეს არის ნაბიჯი, რომელიც საფრთხეს გვიმცირებს, მაგრამ სულაც არ გვაშორებს იმ სივრციდან, რომელშიც თავს უფრო დაცულად ჩავთვლით.

„ალბათ, უნდა დავიოკოთ ჩვენი მაქსიმალიზმი და გავიხსენოთ 5-6 წლის წინანდელი ურთიერთობის ხარისხი ნატოსთან და შევადაროთ დღევანდელ რეალობას, მივხვდებით, რომ ამ მიმართულებით ჩვენ „ადგილზე ნაბიჯით იარ“ ფორმულით არ ვხელმძღვანელობთ. ნუ გვექნება განცდა, რომ საქართველო არის ჩვენი პლანეტის ყველაზე უპირველესი თემა საერთაშორისო ურთიერთობებში. ისეთი პროცესები მიმდინარეობს ამჟამად დედამიწაზე, რომ, რასაკვირველია, თავშეკავება და გონიერება გვმართებს“, — ამბობს სოსო ცისკარიშვილი.

„საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი მუჩაიძე** ამბობს, რომ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესების დაჩქარება, პირველ რიგში, შეუძლია ჩვენი ქვეყნის მთავრობას იმ რეფორმებით და ვალდებულებების შესრულებით, რომელიც ქვეყანას ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანების სახით აქვს აღებული. მისივე თქმით, ამ რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ბევრი რამე მიიღო.

„მართალია, გაწევრიანებაზე არ არის საუბარი, მაგრამ ნატოს უელსის სამიტზე ძალიან მნიშვნელოვანი ურთიერთთანამშრომლობის პაკეტი მივიღეთ. საქართველოში გაიხსნა ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი, ევროკავშირიდან მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია, რაც მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

რაც შეეხება იმას, რომ რა ნაბიჯები შეიძლება იქითა მხრიდან გადაიდგას, როდესაც დემოკრატიული რეფორმების შემდგომი განვითარება უფრო ნათლად და ცალსახად გამოჩნდება, ასეთ შემთხვევაში იქითა მხრიდანაც გაიზრდება ინტერესი.

ნელ-ნელა გაქარწყლდება სკეპტიკური ქვეყნის არგუმენტები, რომ დემოკრატიული განვითარება ყოვნდება და, რომ ჩვენ მზად არ ვართ დემოკრატიული საერთაშორისო თანამეგობრობის ნაწილი გავხდეთ. ჩვენს მიმართ აუცილებლად გაიზრდება ინტერესი და აქედან გამომდინარე გაიზრდება მხარდაჭერაც. ამის მთავარი უზრუნველმყოფი უნდა იყოს საქართველოს მთავრობა“, — აცხადებს გიორგი მუჩაიძე.

სამხედრო ექსპერტის **ზურაბ აგლაძის** განცხადებით, როგორც წესი, პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიისა და ლიბერალდემოკრატიის მიმართ იმედგაცრუება არსებობს, ეს შეიმჩნევა როგორც რუსეთში, ასევე უკრაინაში, რადგან საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მათი ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. რაც შეეხება დასავლეთთან ურთიერთობას, მისი თქმით, პირველ რიგში, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ის, ჩვენ რა გვინდა და რა არის ჩვენი მიზანი, რაც დასავლეთისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, არამედ ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ როგორ უყურებს დასავლეთი საქართველოს და მის როლს რეგიონში.

„აუცილებელია მათი გაგება. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, პატარა ქვეყანას თავისი შეზღუდვები აქვს. პირველ რიგში, ჩვენ კარგად უნდა გავაანალიზოთ იმათ რა სურთ, ისინი როგორ უყურებენ ამას და ჩვენი ინტერესები მოვარგოთ მათ ინტერესებს, რადგან ისინი არიან წამყვანი ძალა და არა ჩვენ. სახელმწიფო არ შენდება ერთ და ორ წელიწადში, ჩვენ მოთმინება უნდა ვიქონიოთ.

ერთადერთი გზა, რაშიც დასავლეთი უნდა დაგვეხმაროს, ეს არის მეტი დახმარება გაგვიწიონ ინსტიტუტების მშენებლობაში. მაქსიმალურად გადავიდეთ ინსტიტუციების მართვაზე და არა პიროვნულ მართვაზე, დემოკრატია და, ზოგადად, ლიბერალდემოკრატია გავაძლიეროთ ამ ქვეყანაში.

კანონის უზენაესობა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, პირადი ქონების ხელშეუხებლობა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, ეს ინსტიტუტები უნდა გავაძლიეროთ და ამაში უნდა დაგვეხმაროს დასავლეთი. როდესაც ამ ინსტიტუტებს გავაძლიერებთ, თავისთავად ჩვენი ეკონომიკაც გაძლიერდება, ამის შემდეგ შეიძლება საუბარი იმაზე, რომ გავხდეთ ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა“, — ამბობს ზურაბ აგლაძე.

მისი თქმით, სანქციების ფონზე რუსეთმა უკვე მიაღწია თავის პიკს. ასევე, შემცირდა ნავთობისა და გაზის ფასი, დაიწყო სავალუტო რეზერვებს ხარჯვა, რაც მისივე თქმით, ნიშნავს, რომ რუსეთი დიდხანს ვერ შეძლებს ასეთ ფორმაციაში ყოფნას.

„დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ჩვენ გაგვიჩნდება ისტორიული ფანჯარა და ამ ისტორიულ ფანჯარას ძლიერი ინსტიტუტებით და ძლიერი სახელმწიფოთი უნდა შევხვდეთ. ძლიერ სახელმწიფოსა და ძლიერ ქვეყანას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ძლიერი ქვეყანაა რუსეთი, იმიტომ, რომ ატომური იარაღი აქვს, მაგრამ არა ძლიერი სახელმწიფო, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტები არა აქვს. ამიტომ, ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი სახელმწიფო, სადაც იქნება ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები. სწორედ ამ ძლიერი სახელმწიფოს შექმნაში უნდა დაგვეხმაროს დასავლეთი“, — აცხადებს ზურაბ აგლაძე.

თამთა ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ „ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ მერიის განმარტებით, პროექტის მიზანია ქალაქის კლიმატური სიტუაციის უწყვეტი მეტეოროლოგიური მონიტორინგი და მოსახლეობის ინფორმირება, აგროსექტორის, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ქალაქის ეფექტური განაშენიანება-დაგეგმარებისა და ბუნებრივი კატაკლიზმების წინასწარი პროგნოზირების შესაძლებლობების დანერგვა.

პროექტი ბათუმის მერიისა და ფონდ „იორ ფორესთის“ მიერ ხორციელდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქალაქის ცენტრალურ ნაწილსა და მის შემოგარენში განთავსდა 7 კლიმატური სადგური (ბულვარი, მემედ აბაშიძის ქუჩა, ცენტრალური ნაწილი, ადლია, ბარცხანა, ფერიის მთა და ჩაქვი), რომელთა მეშვეობითაც ხდება სინოპტიკური მახასიათებლების მეტეოროლოგიური პირობების, ამინდის განმსაზღვრელი მონაცემების შეგროვება — დამუშავება და გამოქვეყნება 10-15 წუთიანი ინტერვალით, რაც უკვე წარმოადგენს საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციას. სულ მალე ამოქმედდება წინასწარი გაფრთხილების სისტემა 3 საათიანი წინსწრებით.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 30 სექტემბერს გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას ზოგადი კლიმატური სიტუაციის მონიტორინგისთვის საჭირო ღონისძიებებისა და პროგრამების შემუშავების კუთხით, ასევე გათვალისწინებულია თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების მონიტორინგისთვის მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვასა და განხორციელებაში, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ სამეცნიერო კვლევებისა და პროგნოზირების სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲧᲘᲖᲘᲚᲐᲯᲚᲝᲨᲘ ᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, განჯავის ქუჩაზე წყალმომარაგების ცენტრალიზებული ქსელი კეთდება. სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია საკუთარი ფინანსებით ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა წყალმომარაგების სრულიად ახალი ქსელი (350 მეტრ სიგრძეზე მოთავსდება წყლის ახალი მილები) და მოწესრიგდება შიდა ინფრასტრუქტურა. განჯავის ქუჩას ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის გამო წყალი შეფერხებით მიეწოდება. სამუშაოების დასრულების შედეგად, აღნიშნულ დასახლებაში მცხოვრებ ოჯახებს არსებული პრობლემა მოუგვარდება და ათეულობით აბონენტი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

თუ „საქართველოს რესპუბლიკას“ კითხულობთ, მთელი მსოფლიო (რასაკვირველია, საქართველოიანად) ხელისგულზე გიდევთ!..

სენსაციური ანონსი

მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე

იოსებ სტალინის დღემდე უცნობი მემუარული ჩანაწერები

არ ვიცით, რატომ, მაგრამ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ვადიმ პროვინიცკიმ მაინცდამაინც ჩვენი გაზეთის რედაქციას მოაკითხა და ექსკლუზიური უფლებით ფრიად და ფრიად უცნაური პუბლიკაცია შემოგვთავაზა – **„იოსებ სტალინის სხვადასხვა დროის მემუარული ჩანაწერები“,** სადაც ბელადისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით მოთხრობილია დღემდე ბევრი უცნობი ამბავი როგორც თვითონ სტალინის ცხოვრებიდან, ისე ყოფილი სსრ კავშირის ისტორიის გარკვეული მონაკვეთიდან (1921-1950 წლები). ეს მართლაც უნიკალური მასალაა, ბევრი თვალსაზრისით დღემდე თითქმის უცნობი ისტორიული ამბების შემცველი.

ბატონმა ვ. პროვინიცკიმ მასალა დასაბეჭდად შემოგვთავაზა 2017 წლის მარტისთვის. ამჯერად მხოლოდ ამ ცნობის გამოქვეყნების უფლება მოგვცა და თან ასეთი პირობაც წამოგვიყენა: ეს მასალა უნდა დაიბეჭდოს ჩვენი გაზეთის მხოლოდ 2017 წლის იმ ნომრებში, რომლებსაც დიდი რაოდენობით ერთგული ხელმომწერი ეყოლება (ავტორს სოლიდური ჰონორარი აინტერესებს).

ბატონმა ვ. პროვინიცკიმ ამჯერად ი. სტალინის ამ უცნობი მემუარული ჩანაწერების მხოლოდ რამდენიმე ადგილი გაგვაცნო. ეს ჩანაწერები, როგორც იტყვიან, სულ ყირამალა აყენებს დღემდე თითქოსდა ცნობილ ბევრ ისტორიულ მასალას.

ეს არა მარტო ამ ერთი პიროვნების, არამედ ყოფილი მეფის რუსეთის იმპერიისა და საერთო ჯამში, საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოს სრულიად ახალი თვალით დანახულ მატიანეა, რაც, ალბათ, ბევრ რამეს შეცვლის XX საუკუნის მსოფლიოს პირველი ნახევრის ისტორიაში.

ბატონი ვ. პროვინიცკი 2017 წლის მარტიდან იმ პირობით გადმოგვცემს ზემოხსენებული ი. სტალინის მემუარულ ჩანაწერებს, თუ გაზეთს იმდროისთვის ხელმომწერთა დიდად გაზრდილი რაოდენობა ეყოლება.

ასე რომ, ჯერი ახლა თქვენზეა, გაზეთის ერთგულ ხელმომწერებზე!

საქართველოს რესპუბლიკა

98

(გამოდის 1918 წლიდან)

როგორც მსოფლიო მეცნიერებამ ბოლო დროს დაამტკიცა, ადამიანის ჯანმრთელობა თურმე მხედველობიდან, თვალებიდან იწყება. ესე იგი, უწინარესად თვალებს უნდა გავუფრთხილდეთ. მით უმეტეს, რომ მეცნიერებისავე მტკიცებით, ჩვენი თვალების უპირველესი მტერია ეკრანი – ტელევიზია იქნება ეს თუ განსაკუთრებით კომპიუტერი.

ამიტომ მხედველობის გაფრთხილების უებარი საშუალება და უებარივე წყაროა, ინფორმაციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი რომელიმე სრულყოფილი გაზეთის ან თუნდაც ჟურნალის კითხვა.

ამ მხრივ გამორჩეულად უნდა ჩაითვალოს გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“,** რომლის ფურცლებიც თანამედროვე როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრების მთელ შინაარსს იტევს.

სრულიად თამამად უნდა ითქვას, რომ, რასაც ამ გაზეთში წაიკითხავთ (შრიფტის სიდიდეც კი გათვალისწინებულია), სხვაგან ვერც ერთ გაზეთში ვერ ნახავთ (პოლიტიკა, სოციოლოგია, კულტურა, ხელოვნება, მედიცინა, განათლება, მეცნიერება, სპორტი, იუმორი და სხვ).

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველდღიური ერთგული მკითხველი მთელი მსოფლიოს ამჟამინდელი მდგომარეობის სრულ კურსშია.

ამიტომ ჩვენი კეთილი რჩევაა, რომ გამოიწეროთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ნამდვილად აღარ დაგჭირდებათ მედიის სხვა საშუალებათა ყოველდღიური თვალიერება.

ჩვენი გაზეთი კვირაში 5-ჯერ გამოდის. თვეში 10 ლარი, 6 თვეში 60 ლარი, ხოლო მთელი წელიწადი 120 ლარი ჯდება. იაფი და იორღაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

2017 წლისთვის ხელმოწერა უკვე დაწყებულია.

ყველაზე სანდო, გამართული ქართულით დაწერილი გაზეთი აქვე გპირდებათ, რომ თქვენი ყოველი შენიშვნა და კეთილი სურვილი აუცილებლად გათვალისწინებული იქნება.

გაზეთს ყოველ დილით შინ მოგართმევენ.

გამოწერა შეგიძლიათ:

მაცნე – 2 14 39 06; 2 14 74 22; პლანეტა ფორტე – 2 98 89 90; პრეს+ – 599 24 00 42; ჯეომედია – 593 97 78 88; მერკური – 577 15 78 17; ლიონი – 598 64 23 30.

ხელმოწერა შესაძლებელია თვითონ რედაქციაშიც (სულხან-საბას №3).

თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღები ზესტაფონში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგე-

ლაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ზესტაფონში ახლად აშენებული საბავშვო ბაღი დაათვალიერა, რომლის მშენებლობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

2013-2016 წელს ქალაქ ზესტაფონში აშენდა 5 და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 15 ბაგა-ბაღს.

ახლად აშენებული საბავშვო ბაღები მთლიანად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. რაც შეეხება რეაბილიტაციას, პროექტის ფარგლებში ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული საბავშვო ბაღის შენობები გარემონტდა, მოეწყო სასადილო ოთახები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს, თხუთმეტივე საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. ზესტაფონის ბაგა-ბაღების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე ჯამში 2 მილიონ 121 ათას 532 ლარი დაიხარჯა. შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2016 წლიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბავშვო ბაღებში ზესტაფონში მცხოვრები 2100-მდე აღსაზრდელი დადის. მაშინ როცა, 2012 წელს მუნიციპალურ ბაგა-ბაღებში მხოლოდ 900 ბავშვი დადიოდა.

„ოქროს პერგამენტი 2016“-ის ნომინანტების შერჩევა დაიწყო

კანდიდატების შერჩევა, რომელშიც მონაწილეობას შესაბამისი სფეროს ექსპერტები და სპეციალისტი მიიღებს, ნოემბრის ბოლოს დასრულდება, ხოლო გამოკითხვა დეკემბრის დასაწყისში დაიწყება. „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები 11 ნომინაციაში დასახელდებიან. აქედან 10 გამარჯვებული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდება, ხოლო ერთ ნომინანტს — „ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატი — ორგანიზატორი, ახალი ამბების სააგენტო GHN — დაასახელებს. გამოკითხული იქნება 3 000-მდე რესპონდენტი.

2016 წლის „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში: წლის ადამიანი, პოლიტიკოსი, უფლებადამცველი, ბიზნესმენი, ხელოვანი, ჟურნალისტი, სპორტსმენი, წლის პროექტი, კომპანია, ბრენდი და „ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატი. „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატების დაჯილდოება, ტრადიციულად, 24 დეკემბერს გაიმართება.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნონა შაშიკაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნონა შაშიკაძე (პ/ნ 61002019008), ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54 (საკადასტრო კოდი: 05.24.07.048.01.054).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18525.89 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 4 ნოემბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 17 ნოემბერი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP36803116;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 368031
6. **მოვალე:** გიორგი აბულაძე (პ/ნ 17001000519), ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54;
ნონა შაშიკაძე (პ/ნ 61002019008), ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP36803116; ლოტის ნომერი: 368031).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 16 ნოემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

დანართი №1 (5 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „03 ნოემბრის“
№ 01-3/364 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულისმოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.24	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	100 000 მ3/წელიწადში	1 142,00	500
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტი,სოფ.ხუცუბანი, მე-5 უბანი,ქუჩაN46	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	2 600 მ3/წელიწადში	30,00	206,00
3	ქ.ბათუმი, შარაბიძეების დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	11 000 მ3/წელიწადში	126,00	225,00
4	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N9	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 800 მ3/წელიწადში	21,00	205,00
5	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.ხუცუბანი	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	94 900 მ3/წელიწადში	1085,00	417,00
6	ქ. ბათუმი, მეჯინისწყლის I-ლი ჩიხი N12	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	7 300 მ3/წელიწადში	84,00	217,00
7	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ფრ.ხალვაშის გამზირიN258	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	300 000 მ3/წელიწადში	3 425,00	885
8	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N102	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 650 მ3/წელიწადში	41,67	208,34
9	ქ. ბათუმი,მეჯინისწყლის დასხლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	21 900 მ3/წელიწადში	667,00	335,00
10	ქ.ბათუმი, კახაბრის ქ.N48	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 მ3/წელიწადში	21,00	205,00
11	ქ.ბათუმი,მეჯინისწყლის დასხლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 095 მ3/წელიწადში	13,00	203,00

ღვინის ტურიზმზე მომუშავე ჟურნალისტები კახეთს ეწვივნენ

ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტები საქართველოში ღვინის ტურიზმის პოტენციალს ეცნობიან. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ღვინის თემატიკაზე მომუშავე უცხოელი ჟურნალისტები

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს ეწვივნენ.

პრესტურის ფარგლებში ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, იტალიის, ბულგარეთის, გერმანიის, დანიისა და რუსეთის ბეჭდური მედიის წარმომადგენლებმა მარნები, ვენახები დაათვალიერეს და ქართული ღვინის წარმოების ტრადიციებს გაეცნენ.

მთიან აჭარაში უსვთოვლობამ პრობლემები შექმნა

ახალციხის დამაკავშირებელი მაგისტრალი და გოდერძის უღელელტეხილის მონაკვეთი ჩაკეტილია. თოვლის საფარმა გოდერძის უღელტეხილზე ერთ მეტრს მიაღწია, სოფლებში ნახევარ მეტრს, ხულოს ცენტრში კი 20 სანტიმეტრს გადააჭარბა.

შუახევსა და ქედაში რამდენიმე სოფელი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. გააქტიურდა მენყრული პროცესებიც. პრობლემებია ქობულეთსა და ხელვაჩაურშიც, სადაც სეტყვამ ციტრუსი დააზიანა. ზარალის ზუსტი ოდენობა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

12	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ.მახო	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 მ3/წელიწადში	21,00	205,00
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				
საიდენტიფიკაციო ნომერი			245444844				
მისამართი/ტელეფონი			ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10				
სარგებლობის ლიცენზიის სახე			სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია				
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის			ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ					
			უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.					
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 07 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 09 დეკემბერს დღის 18.00 საათზე				
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 09 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 09 დეკემბერს დღის 18.00 საათზე				
სხვა მონაცემები			აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში				

მსოფლიოს სიახლენი

სარკინიგზო კატასტროფა პაკისტანში

ყარაჩიში ერთმანეთს სამგზავრო მატარებლები შეეჯახა. ინციდენტს 16 ადამიანი ემსხვერპლა, 40-მდე კი მძიმედ დაშავდა. რამდენიმე მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია, რის გამოც მსხვერპლი, სავარაუდოდ, გაიზრდება.

ფეისბუქის მოგება იზრდება

ფეისუბუქის მოგება მესამე კვარტალში 55 პროცენტით გაიზარდა. კორპორატიული ანგარიშების შესახებ ინფორმაცია კომპანიამ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მითითებულ პერიოდში სოციალური ქსელის საერთო მოგებამ 7 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 2 მილიარდნახევრით მეტია.

რუსეთი მორიგი წვრთნებისთვის ემზადება

სერგეი შოიგუს თქმით, მომავალი წლის სექტემბერში რუსეთისა და ბელარუსის პოლიგონებზე სტრატეგიული სწავლება „დასავლეთი 2017“ დაიწყება. როგორც უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, სამხედრო წვრთნებისას გათვალისწინებული იქნება რუსეთის საზღვრებთან ნატოს გაზრდილი აქტივობაც. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე საუბრისას, შოიგუმ განაცხადა, რომ ნატო ახალი გეგმებით რეგიონში სტრატეგიულ სტაბილურობას უთხრის ძირს. მიმდინარე წლის მაისში რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ქვეყნის დასავლეთ საზღვრებთან ახალი სამი დივიზიის შექმნის შესახებ განაცხადა.

ტერორისტებთან კავშირში ეჭვმიტანილი დააკავეს

ბერლინში დაკავებული 27 წლის მამაკაცი სამართალდამცავების ინფორმაციით, სირიელია. პოლიცია ეჭვობს, რომ ის შესაძლოა, ტერორისტული დაჯგუფების წევრი იყოს. სამართალდამცავებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინაც გაჩხრიკეს. რადიკალი ისლამისტების გამოვლენის მიზნით, გერმანიის მასშტაბით რეიდები სისტემატურად ტარდება.

ტაჯიკეთში პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის დაისჯებიან

ტაჯიკეთში პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა. შესაბამის განკარგულებას პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა. ემომალი რახმონის განცხადებით, ახალი კანონის დამრღვევებს დიდი ოდენობით ფულადი ჯარიმის გადახდა ან 5-წლიანი პატიმრობა ელით. 64 წლის ემომალი რახმონი სახელმწიფო მეთაურის პოსტს 1992 წლიდან იკავებს. მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები ტაჯიკეთში 2020 წელს ჩატარდება.

იტალიის პოლიცია მიგრანტებს არაადამიანურად ექცევა

ამნესტი ინტერნეიშენალი იტალიის პოლიციას მიგრანტთა უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს. ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ სამართალდამცავები ლტოლვილებს ცემენ და მათ წინააღმდეგ ელექტროშოკებს იყენებენ. ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ მათ ლტოლვილთა მიმართ არაადამიანური მოპყრობის 20-მდე ფაქტი აქვთ გამოვლენილი, რაზეც იტალიის ხელისუფლებამ სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს.

◎ ფეხბურთი

თასი ლიხს იქით დაივანებს

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალს 22 ნოემბერს ზესტაფონი უმასპინძლებს, სადაც სატიტულო ბრძოლაში ერთმანეთს ქუთაისის „ტორპედო“ და მარტვილის „მერანი“ შეხვდებიან. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი პირველი ლიგის ბინადარია და აქამდე ასე მაღლა არასდროს აფრენილა. ვიმედოვნებთ, ფეხბურთის დიდი ქომაგისა და მშობლიური რაიონის კლუბის პრეზიდენტის ფრიდონ ინჯიას ნამაგარი გუნდი გადამწყვეტ მატჩშიც ღირსეულად წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს.

„დინამო“ – „ტორპედო“ 2:3

გოლები: ჯილაური (2); ტაბატაძე, ქიმაძე, დოლიძე.

როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის 16-გზის ჩემპიონსა და ეროვნული თასის 13-გზის მფლობელს რამდენიმე დღის წინათ სათავეში უკრაინელი მთავარი მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი ჩაუდგა.

საფიქრებელი იყო, რომ ახალი თავკაცის წარმატებით სადებიუტოდ მისი შეგირდები ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ, მაგრამ დისკვალიფიცირებული დაცვის ბურჯის ფერეირასა და შეტევათა სულისჩამდგმელის პაპუნაშვილის არყოფნაში მხოლოდ „დუბლის“ ავტორი ჯილაური თუ ცდილობდა ლიდერის ფუნქციების შესრულებას, რაც ერთ მუშტად შეკრულ სტუმართა გასატეხად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ამ გამარჯვებით კახა ჩხეტიანის ბიჭებმა ნავსი გატეხეს და სათასო ბატალიებში პირველად დაამარცხეს „თეთრლურჯები“: აქამდე გამართული 9 თამაშიდან რიონისპირელებმა 6 წააგეს და 3 ფრედ დაასრულეს.

„მერანი“ – „ჩიხურა“ 3:0. გოლები: ქანთარია, წყაროზია (პენალტით), წოწონავა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭიდაობა

წამსვლელთა ვინაობა გაირკვა

წლეულს 10-11 დეკემბერს ბუდაპეშტი არაოლიმპიურ წონით კატეგორიებში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაზე წამსვლელთა ვინაობის გასარკვევად სასპორტო კომპლექს „არენაში“ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შესარჩევი ტურნირი გაიმართა ორ წონაში.

71 კილოში რამდენიმე ახალგაზრდა ფალავანმა მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება: განსაკუთრებით ახალგაზრდებში ევროპის ორი ჩემპიონი – მინდია წულუკიძე და რამაზ ზოიძე გამოირჩნენ. ზოიძე თავის ასაკში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიცაა. შესარჩევის პირველივე წრეში მან 2:1 დაამარცხა გოგიტა გოგბერაშვილი, მერე გიორგი ხუჭუას 8:0 მოუგო. წულუკიძემ დაძაბულ ბრძოლაში აჯობა გამოკვეთილ ფავორიტ გოგა აფრიამაშვილს - 3:2, მერე ედნარ შავაძეს მოუგო – 6:2, ნახევარფინალში კი ასაკით უფროს წულუკიძესთან დამარცხდა – 0:2.



ბადის მეორე ნახევარში ტიტულოვანმა ფალავანმა, ევროპისა და მსოფლიოს ფინალისტმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა მანუჩარ ცხადაიამ თორნიკე ჯანგავაძესთან წააგო – 2:5. მეორე წრეში ჯანგავაძეს ბექა მამუკაშვილმა სძლია – 9:0. საჩინო დავითაიამ პირველივე წრეში მოგვარე და უხერხული მეტოქე – გიორგი დავითაია დამატებითი მაჩვენებლებით დაამარცხა, მერე მამუკაშვილს აჯობა – 9:0 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც საქართველოს ჩემპიონ გიორგი ჯავახიასაც მოუგო – 4:0, ფინალი კი წულუკიძესთან 3:4 დათმო. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური წულუკიძეს ერგო.

71 კგ. 1. მინდია წულუკიძე (აჭარა), 2. საჩინო დავითაია, 3. გიორგი დავითაია (ორივე-სენაკი), გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი).

80 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს პრიზიორმა ლაშა გობაძემ და ზურაბ დათუნაშვილმა იყოჩაღეს. ფინალშიც ისინი გავიდნენ. დათუნაშვილმა ვალერიან აფციაურს ორი პერიოდის ჯამში 8:0, ნუკრი შავაძეს 9:0, ნახევარფინალში კი ნიკოლოზ კელასოვს 6:1 სძლია. გობაძემ პირველ წრეში გიორგი დევიძე 10:0 დაამარცხა, გიორგი ცირეკიძესთან შეხვედრა ფრედ (1:1) დაასრულა და ბოლო ქულის წყალობით გავიდა ნახევარფინალში, სადაც თემურ ჭკუასელიძე დაჯაბნა – 8:0. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა – 2:2. დათუნაშვილს ჩემპიონობა და მსოფლიოს საგზური დამატებითი მაჩვენებლებით ერგო.

80 კგ. 1. ზურაბ დათუნაშვილი (თბილისი), 2. ლაშა გობაძე, 3. ნიკოლოზ კელასოვი, თემურ ჭკუასელიძე (სამივე-აჭარა).

ლექსო ცინცაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

გასროლა ვარშავაში

წლევანდელ ჩემპიონთა ლიგას თუ ვინმე არცხვენდა, მათგან ერთ-ერთი პირველთაგანი ვარშავის „ლეგია“ იყო, რომელმაც ჯგუფური რაუნდის პირველი წრე უქულოდ და ბურთების კატასტროფული სხვაობით – 1:13(!) დაასრულა.

პოლონური კლუბის ამაზრზენ თამაშს მის გულშემატკივართა უღირსი საქციელი დაემატა, რის გამოც უეფასგან ცარიელი ტრიბუნები გამოუწერეს.

ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა მადრიდის „რეალი“ ბეილისა და ბენზემას ძალისხმევით დებიუტშივე სოლიდური უპირატესობით – 2:0 დაწინაურდა და ჰაერში მორიგი ფიასკოს სუნი დატრიალდა.

მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოვლენათა ასეთმა განვითარებამაც კი ვერ ჩაუკლათ ბრძოლის ჟინი და საბოლოოდ სწორედ მათ მრისხანე მეტოქეს მოუწია მატჩის გადარჩენა – 3:3.

აღსანიშნავია, რომ ხმაურიან სენსაციას კრიშტიანუ რონალდუს მორიგი მშრალი ბღლარძუნიც დაერთო თან, არადა მას, როგორც ცნობილია, ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში უკვე 98 გოლი აქვს გატანილი და ასიანთა კლუბამდე თითქმის აღარაფერი აშორებს.

დანარჩენი შედეგები:

„იუვენტუსი“ – „ლიონი“ 1:1, „დორტმუნდი“ – „სპორტინგი“ 1:0, „ტოტენჰემი“ – „ლევერკუზენი“ 0:1, „მონაკო“ – ცსკა 3:0, „კოპენჰაგენი“ – „ლესტერი“ 0:0, „პორტუ“ – „ბრიუგე“ 1:0, „სევილია“ – ზაგრების „დინამო“ 4:0.

კობა კობახიძე

◎ ხელბურთი

მარცხით დავიწყეთ

იტალია-საქართველო 26 : 19

ხელბურთელ ვაჟთა 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი სირაკუზაში გაიმართა: **იტალიამ საქართველოს უმასპინძლა.** შეხვედრის პირველ წუთებში აპენინელები 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ ჭანტურიამ და წითელიშვილმა მალევე აღადგინეს წონასწორობა, მე-15 წუთზე კი ჩიქოვანმა საქართველო წინაც გაიყვანა – 5:4. თუმცა, ტაიმი იტალიამ 11:10 მაინც მოიგო. შესვენების შემდეგ 35-ე წუთზე გრიშიკაშვილმა კიდევ ერთხელ დააწინაურა სტუმრები – 13:12. აქედან მოყოლებული, მასპინძლებმა შეძლეს ძალების მობილიზება, დაცვის გაძლიერება, სივრცეები შეუზღუდეს ქართველ თავდამსხმელებს, თავად კი უფრო შედეგიანად აგვირგვინებდნენ იერიშებს და საბოლოოდ შვიდი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს – 26:19.

6 ნოემბერს 18 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში საქართველო უმასპინძლებს აპენინელებს. სტუმრებს რვა ბურთის სხვაობით უნდა მოვუგოთ, რომ ჯგუფის მესამე მეტოქე ლუქსემბურგთან მატჩების წინ იტალიაზე უკეთეს მდგომარეობაში ვიყოთ. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის.

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

მესიმ მსახიობობა იუარა

არგენტინელ ლეო მესის ფული და ავტორიტეტი რომ არ აკლია, ეს ბავშვმაც კი იცის ამის მიუხედავად, ჩია სუპერმეგოლეზე ნამდვილად ვერავინ იტყვის, რომ პოპულარობა თავში აუვარდა და საკუთარი თავის გასაპიარებლად ყველაფერს იზამსო.

სწორედ ამიტომაც ნამეტნავად უცნაურია, რომ ასეთი ბუნებისა და ხასიათის კაცს ესპანელმა კინორეჟისორმა ფილმში თამაში შესთავაზა. ლეომ, რა თქმა უნდა, ამ წინადადებაზე მყისიერი უარი განაცხადა, მაგრამ საკუთრივ რეჟისორის მიდგომაა უცნაური. რატომ ეგონა, რომ ლეო მესი ამაზე თანხმობას იტყოდა?

ერთადერთი, ვისაც ლეო მესის ამ ერთობ ბუნებრივ გადაწყვეტილებაზე გული დასწყდა, ფეხბურთელის მეუღლე ანტონელა როკუზო იყო, რომელმაც განაცხადა, რომ ესმის ქმრის და ისიც იცის, რომ ფეხბურთელებს რთული და დაკავებული გრაფიკები აქვთ, მაგრამ სიამოვნებით ნახავდა თავის ქმარს მსახიობის ამპლუაში. ანტონელას სჯერა, რომ ლეო მესი, გოლების გატანისა არ იყოს, სამსახიობო საქმიანობასაც წარმატებით გაართმევდა თავს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი



რეი ალენმა კარიერა დაასრულა

ლეგენდარულმა კალათბურთელმა, 41 წლის რეი ალენმა სპორტული კარიერა დაასრულა. აღნიშნულ ინფორმაციას ESPN-ი ავრცელებს. რეის ბოლო ორი სეზონი აღარ უთამაშია, მაგრამ დღევანდლამდე განცხადება კარიერის დასრულებაზეც არ გაუკეთებია.

ალენი ნბა-ს ორგზის ჩემპიონია –„ბოსტონში“ 2008 წელს და „მაიამიში“ 2013 წელს. რეი „ოლ სტარის“ 10-გზის მონაწილეცაა. 19-წლიან კარიერაში ის საშუალოდ ერთ შეხვედრაში 18.9 ქულას, 4.1 მოხსნას და 3.4 პასს აგროვებდა. ალენს ნბა-ს რეგულარულ სეზონებში ყველაზე მეტი – 2973 სამქულიანი აქვს ჩაგდებული.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩმა ოგეებით დაიწყო

მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა, სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა პარიზის მასტერზის 1/16-ფინალში ლუქსემბურგელი ჟილ მიულერი 6:3, 6:4 დაამარცხა და ამ სეზონში მე-60 გამარჯვება იზეიმა. შეხვედრა საათსა და 22 წუთში დასრულდა. „ნოლემ“ ორივე სეტში თითო-თითო ბრეიქი შეასრულა, რაც შეხვედრის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

პარიზის მასტერზის 1/8-ფინალში ჯოკოვიჩის მეტოქე ბულგარელი გრიგორ დიმიტროვი იქნება.

ბადრი იაშვილი

◎ გასაქართველოებული წინაპარი

„ვეფხისტყაოსნის“ სვანური ირაო

დღეისთვის „ვეფხისტყაოსნის“ 503 გამოცემა არსებობს, მათგან 350-ზე მეტი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი. ახლახან საინტერესო მოვლენა მოხდა: გამომცემლობა „სეზანმა“ (თბილისი) დასტამბა „ვეფხისტყაოსნის“ სვანური თარგმანი, მთარგმნელი გახლავთ არსენ ონიანი.

არსენ ონიანი ერთობ საინტერესო პიროვნება იყო.

დაიბადა 1879 წელს ქვემო სვანეთში, ლაშხეთის თემის სოფელ სასაშში. დაწყებითი განათლება ლეჩხუმში, სოფ. ორბეთში (მაშინ ქვემო სვანეთში სკოლა არ არსებობდა) მიიღო, 1900 წელს კი დაამთავრა ქუთაისის სამეურნეო ტექნიკუმი. როგორც თვითონ გვიამბობს ავტობიოგრაფიაში, 1910 წლიდან აკადემიკოს ნიკო მარის დავალებით დაიწყო თანამშრომლობა სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, რაც 1935 წლამდე არ შეუწყვეტია.

1911 წლიდან მუშაობდა რუსულ-სვანური ლექსიკონის მასალების შეგროვებაზე, რაც პეტერბურგში უნდა დაბეჭდილიყო.

1917 წ. ნიკო მარის რედაქტორობით რუსულ ენაზე დაისტამბა მისი ნაშრომი: „სვანური ტექსტები ლაშხეთურ დიალექტზე“ (სვანური ზღაპრები, შელოცვები, ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულის წინარე ისტორიები და სხვ.). იმავე წელს გამოიცა მისი მეორე წიგნი, ასევე „რუსულ ენაზე: „ხეებისა და მცენარეთა სახელწოდებები სვანური ენის ლაშხეთურ დიალექტზე“.

1929 წელს არსენ ონიანი აკადემიის სამეცნიერო მივლინებით მონაწილეობდა ბალყარეთ-ყარაჩაეთის სამეცნიერო ექსპედიციაში („Балкаро-Сванское скрещение“), მოპოვებული მასალები მეცნიერებათა აკადემიაში ინახებაო, წერს ავტობიოგრაფიაში.

გარდაიცვალა 1947 წელს.

წიგნის გამომცემლის, არსენ ონიანის შთამომავლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის გრიშა ონიანის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ სვანურად თარგმანის იდეა მთარგმნელისგან არ უნდა მომდინარეობდეს. „ვეფხისტყაოსნის“ სვანურად ამეტყველება მისთვის 1912 წელს უთხოვია ნიკო მარს, როცა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის დავალებით სვანეთში მეორედ იმოგზაურა. მან ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა არსენს, თუ ის ამ საქმეს დაიწყებდა და ბოლომდე მიიყვანდა.

სხვა მრავალ მეცნიერულ დავალებასთან ერთად არსენი ამ მეტად რთული ამოცანის შესრულებას მონდომებით შეუდგა. ცნობილი არ არის რამდენი ხანი მოუნდა და როდის დაასრულა, მაგრამ საქმეს თავი წარმატებით გაართვა.

50-იან წლებში ნაშრომი... დაიკარგა: გულმოდგინედ ეძებდა მას არსენის შთამომავალი გრიშა ონიანი. ბატონი გრიშა გვიამბობს, სამოცი წლის განმავლობაში არათუ სრულ თარგმანს, ცალკეულ ფრაგმენტებსაც კი ვერ მივაკვლიეთ. საბოლოოდ ტექსტი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში აღმოჩნდაო.

ქართველ თუ უცხოელ ენათმეცნიერთათვის სვანური ენის ლექსიკის, გრამატიკული სტრუქტურისა და ფონეტიკური სისტემისადმი ინტერესი ადრიდანვე დიდი იყო. სვანური ძირძველი ქართველური ენაა, ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ერთმანეთის ახლო მონათესავე ენებია, მომდინარე წინარექართველური ენიდან.

ცნობილია, რომ სვანურს ქართველურ ენათა შორის თავისებური, რამდენადმე განსხვავებული პოზიცია უჭირავს. სვანურში ბევრი ენობრივი არქაიზმია დაცული როგორც ლექსიკაში, ისე გრამატიკულ სტრუქტურაში. ამ ენას ბევრი რამ ისეთი შემოუნახავს, რაც უძველეს ხანაში ყველა ქართველური ენისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაგრამ ქართულსა და ზანურს დროთა ვითარებაში დაუკარგავს იგი.

როგორც ჩანს, ნიკო მარმა არსენ ონიანს „ვეფხისტყაოსნის“ სვანურად თარგმნა ბევრი უნიკალური ლექსიკური ერთეულისა და გრამატიკული ფორმის გამოსავლენად დაავალა. გარდა ამისა, საინტერესო იქნებოდა, თუ რამდენად ახლოს არის ქართულთან სვანური ლექსთა წყობა და სტრიქონთა ჟღერადობა. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სვანური ვარიანტი სრულად ემთხვევა ქართულ ტექსტს და საკმაოდ ლაღად იკითხება. სვანურ ტექსტში გამოყენებულია, საჭიროების მიხედვით, სვანური ენის ყველა დიალექტის მონაცემი, რაც მას უფრო საინტერესოს ხდის — გვიზიარებს შთაბეჭდილებას არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გულიკო გაზდელიანი**.

„ვეფხისტყაოსნის“ სვანური თარგმანი, სხვადასხვა დროს გამოცემულ სვანური ენის ოთხივე დიალექტის ტექსტებთან და ლექსიკონებთან ერთად წარმოადგენს სვანური ენის მდიდარ ენობრივ მასალას, რომლის მომავალი არსებობა, ინტენსიური გლობალური პროცესების გამო, საფრთხის ქვეშ დგას.

„ვეფხისტყაოსნის“ სვანური ტექსტი, არსენ ონიანის მიერ მოპოვებული ტექსტების მდიდარ კოლექციასთან ერთად, საგულისხმოა ამ ენით დაინტერესებული ყველა მეცნიერისა და მკითხველისთვის.

დაბოლოს: გამომცემელ გრიშა ონიანის საქებრად აღვნიშნავთ, რომ წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე.

სანდრო ალექსიძე

ომი ... ღორის გამო

ისტორიკოსებმა დათვალეს, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის არსებობის მანძილზე, რომელზეც მკვლევარებს თვალის გადევნების საშუალება აქვთ, დედამიწაზე ათი ათასზე მეტი დიდი თუ მცირე ომი იყო. ამისთან, ზოგიერთი მათგანის საბაბი, რის შესახებ ცოტა ხნის წინათაც გიამბეთ, პატივცემულო მკითხველო, იმდენად კურიოზულია, რომ ახლა უკვე ღიმილსაც იწვევს.

მაგალითად, კუნძულ სან-ხუანისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის 1859-1872 წლების ომი.

1859 წლის 15 ივნისს დიდი შავი ღორი მეზობლის ბოსტანში შევიდა და კარტოფილი შესანსლა, რისთვისაც ნაკვეთის პატრონმა მას ტყვია დაახალა. ყველაფერი თითქოს ამით შეიძლებოდა დასრულებულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღორი ბრიტანეთის იმპერიის ქვეშევრდომს ეკუთვნოდა, კარტოფილი კი — ამერიკისას. ორივემ თავი დაზარალებულად მიიჩნია და საჩივრით ხელისუფლებას მიმართა. პატარა კუნძული სან-ხუანი, სადაც ინციდენტი მოხდა, ამერიკელებმა დაიკავეს — დესანტი 461 მეომრისა და 14 ქვემეხისგან შედგებოდა. პასუხად ინგლისელებმა 5 ხომალდით 167 ქვემეხი და 2140 ჯარისკაცი გაგზავნეს. საქმე შეტაკებაზე მიდგა, მაგრამ შტატებში სამოქალაქო ომი დაიწყო, ამიტომაც დავა კუნძულის გამო გადაიდო, თუმცა კი მას 1871 წელს კვლავ მიუბრუნდნენ და საქმე განსახილველად საერთაშორისო არბიტრაჟს გადასცეს. სასამართლომ დაადგინა, რომ ინგლისელი ღორი მტყუანი იყო და კუნძული ამერიკას მიაკუთვნეს.

◎ მავნე ჩვევა

რამ შეაყვარათ ასე მოწევა?!

ყოველი მეორე მოსწავლე თამბაქოს მოიხმარს

საქართველოში სკოლის მოსწავლეთა თითქმის ნახევარი თამბაქოს მომხმარებელია. 17-18 წლამდე ასაკის მოზარდებიდან 43% სიგარეტს სხვადასხვა ინტენსივობით ეწევა. ასეთ სტატისტიკას ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა ადასტურებს. საერთაშორისო კვლევა ევროპის 35-ზე მეტ ქვეყანაში ტარდება, 2015 წელს პროექტს საქართველოც შეუერთდა.

ნოემბერში საქართველოში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 190-მა სკოლამ. გაანალიზდა 2477 სრულად შევსებული კითხვარი, მათგან 1961 მოსწავლე 1999 წელს არის დაბადებული. რამდენადაც კვლევა რეპრეზენტატულია, მისი განზოგადება, საქართველოში მცხოვრებ 16 წლის ყველა მოსწავლეზე შეიძლება.

მოწევა გოგონებში უფრო ნაკლებად გავრცელებულია — 30%, ვიდრე ბიჭებში — 54%. მოსწავლეთა 21%-მა (ბიჭების 28%-მა და გოგონების 13%-მა) მოწევა პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში სცადა. მოსწავლეთა 4% აღნიშნავს, რომ ყოველდღიური მოწევა 13 წლის ასაკში ან უფრო ადრე დაიწყო.

60%-მა განაცხადა, რომ სიგარეტის შოვნა საკმაოდ ადვილი ან ძალიან ადვილია. მოსწავლეთა 4%-მა ელექტრონული სიგარეტი პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში მოწია და 1%-მა ამ ასაკში მისი ყოველდღიური გამოყენება დაიწყო.

ისევე როგორც მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოშიც განსაკუთრებით საგანგაშოა თამბაქოს მოხმარების მატება მოზარდებსა და ქალებში. ზოგიერთი ბავშვი სიგარეტის მოწევას 9-10 წლამდე ასაკში იწყებს, არადა, ასეთ შემთხვევაში მკვეთრად იზრდება ადრეული სიკვდილის რისკი. გარდა ამისა, არსებობს განსაზღვრული დამოკიდებულება სიგარეტის წევის ადრეულ ასაკში დაწყებასა და შემდგომში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას შორის.

მოზარდებში თამბაქოს განსაკუთრებული მავნებლობა იმითაც აიხსნება, რომ ისინი მანკიერი ჩვევის დასამალავად, წესისამებრ, ჩუმად ეწევიან და ამიტომ სწრაფად ისუნთქავენ ბოლს. ასეთ დროს კი თამბაქოს კვამლში მავნე ნივთიერებები უფრო მეტად კონცენტრირდება (ნელი მოწევისას კვამლში ნიკოტინის დაახლოებით 20% გადადის, ხოლო სწრაფი მოწევისას — 40%-ზე მეტი).

თამბაქოს კონტროლის ალიანსში ამბობენ, რომ ბავშვები და ახალგაზრდები უნდა დავიცვათ ამ ნარკოტიკის მოხმარებისგან. ნიკოტინი ჩვეულებრივი ნარკოტიკული ბუნებისაა და თითქმის იგივე დონის დამოკიდებულებას იწვევს, რასაც, მაგალითად, ჰეროინი.

„ასე რომ, თუ თამბაქოს ინდუსტრიას, პირობითად 1 ლარი შემოაქვს ბიუჯეტში, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისა და ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხებით თუ ვიმსჯელებთ, 3 ლარი უკან მიაქვს ბიუჯეტიდან“, — აცხადებენ თამბაქოს კონტროლის ალიანსში.

საქართველოში 3 720 400 ადამიანი ცხოვრობს და აქედან 30 პროცენტზე მეტი მწეველია. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ჩვენი ქვეყანა არ შედის მსოფლიოს ოც ყველაზე მწეველ სახელმწიფოთა რიცხვში (აქ საბერძნეთი, ბულგარეთი და სერბეთი ლიდერობენ), საქართველო მაინც ერთ-ერთ ყველაზე მწეველ სახელმწიფოდ ითვლება.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ინფორმაციით, განცხადებაში ნათქვამია, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციასთან საქართველოს მიერთებიდან 10 წელი შესრულდა, რითაც ქვეყანამ აიღო საერთაშორისო ვალდებულებები, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა განუხორციელებელია.

„მეტიც, ვალდებულებების დიდ ნაწილს ვადა 5 წლის წინათ გაუვიდა. ვადაგადაცილებული ვალდებულებებია: დახურული ტიპის შენობისა და ტრანსპორტის გათავისუფლება თამბაქოს კვამლისაგან, თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის სრული აკრძალვა, დაავადებების სურათებრივი გამოსახულების (პიქტოგრამების) დატანა კოლოფებზე, თამბაქოს ნაწარმის ლიცენზიის სისტემის აღდგენა როგორც წარმოებაზე, ასევე იმპორტზე, საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე, თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობის დაყენება, მათგან კომპენსაციების მოთხოვნა და ა.შ.“ — აცხადებენ თამბაქოს კონტროლის ალიანსში.

ბექა დანელია

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

გილოცავთ და გვეიმედებით!

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამუ-ლიშვილთა გახსენება“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს საქართველოს პარლამენტის წევრად არჩე-ვას ქალბატონებს:

სალომე ზურაბიშვილს, ნინო წილოსანს,

ბატონებს: **სიმონ ნოზაძეს,**

კახაბერ ოქრიაშვილს, დიმიტრი ხუნდაძეს,

დავით სონღულაშვილს, გურამ მაჭარაშვილს.

ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას და დიდხანს სი-ცოცხლეს ქართველი ხალხისა და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში. გაემართლებინოთ თითოეულ მათგანს ის დიდი ნდობა, რაც მათ ამომრ-ჩევლისგან მიიღეს.

ღრმა პატივისცემით
ბონდო კობაძე,
ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, მშვიდობის „ოქროს ვარსკვ-ლავისა“ და „მშვიდობის დროშის“ კავალერი.

◎ ანეკდოტები

ბადრიჯნის ხიზილალა გა-ცილებით გემრიელი გახდება, თუკი მას შავით ან წითლით ჩაა-ნაცვლებთ.

* * *

ალკოჰოლი — ასე ეწოდება იმ საანესთეზიო საშუალებას, რომ-ლის გამოყენებით ადამიანს ოპე-რაციის, სახელწოდებით „ცხოვ-რების“ გადატანა შეუძლია.

* * *

თუკი ცოლმა დააშავა, თავის გასაჭირიც ეყოფა, სულაც არ არის საჭირო მისი საკუთარი სამაგალი-თო ყოფაქცევით ზედმეტად დასჯა.

* * *

რჩევა იმათ, ვინც წვნიანის მზადებას იწყებს, ქვაბს ქურაზე დგამს, თვითონ კი „ორი წუთით“ კომპიუტერს უჯდება: სამზარეუ-ლოდან თან კოვზი გაიყოლეთ! ეს საგანი აუცილებლად შეგახსე-ნებთ, რომ სადილს ამზადებთ!

* * *

— **მიხო**, შენ ჩემი ვალი გაქვს 100 ლარი!

— ვიცი, გენაცვალე, ვიცი! დღეს ვერ გაგისტუმრებ და, აი, ხვალ დილით...

— რამდენჯერ შეიძლება იძახო ეს „ხვალ, ხვალ“? ამას იძახდი წინა კვირაშიც, წინა თვე-შიც, შარშანაც... სულ ერთსა და იმავეს მეუბნები — დღეს ფულს ვერ მოგცემ, აი ხვალ კი...

— მერე, რა გინდა, კაცო?!. ერ-თი შემთხვევა მაინც იყო ისეთი, რომ სიტყვა არ შემესრულები-ნოს?!.

* * *

— **სამჯერ** ვიყავი დაქორწინე-ბული და სამივეჯერ არ გამიმარ-თლა, — ეუბნება კაცი დიდი ხნის უნახავ ნაცნობს. — პირველი ორი ცოლი საყვარლებთან გაიქცნენ, მესამე კი — არა!..

* * *

— **ალო**, სახანძროა? — გოჭებს თუ იღებთ შესაწვავად?

* * *

განცხადება:

„სამკერვალო ატელიეს თერთ-მეტკაციანი კოლექტივი შეღავა-თიან ფასში წააგებს შესარჩევ შეხვედრას ფეხბურთში საქართ-ველოს ნაკრებთან“.

◎ გამოფენა

დედაქალაქს შეემატა

ჟანრი ლოლაშვილი

გია ჯაფარიძე

27 ოქტომბერს თბილისს თაქთაქიშვილის (ყოფილი რიგის) ქუჩაზე კიდევ ერთი ლამაზი საგამოფენო სივრცე შეემატა, რომელიც საქართ-ველოს დამსახურებული მხატვრის, მოქანდაკის გია ჯაფარიძისა და ცნობილი მსახიობი მხატვრის ჟანრი ლოლაშვილის ნამუშევრებით გა-იხსნა. გამოფენა მაღალი გემოვნების, ნატიფი ხელოვნების ნიმუშებით, სკულპტურებითა და ნახატებით დამშვენდა და როგორც პროფესიო-ნალების, ასევე ხელოვნების მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახუ-რა. ვულოცავთ თბილისელებს, ხელოვნების მოყვარულთ ამ არაჩვეუ-ლებრივი ცენტრის გახსნას, რომელიც კიდევ არაერთ ლამაზ გამოფე-ნასა და ხელოვნების ნიმუშს შემოგვთავაზებს.

მალხაზ დოლიძე

პირველი მამაკაცი, რომელმაც „წლის ქალის“ ნომინაციაში გაიმარჯვა



ლეგენდარული როკ-ჯგუფის U2 სოლისტი ბონო, ჟურნალმა „გლამურმა“ წლის ქალის ნომინაციაში გამარჯვებუ-ლად დაასახელა. ეს ხუმრობა არ გახ-ლავთ, ბონოს უდიდესი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს ქალთა უფლებების დაცვაში, აცხადებს ჟურნალი.

გამომცემლები დიდი ხნის განმავ-ლობაში განიხილავდნენ, შეიძლებოდა თუ არა ამ ნომინაციაში მამრობითი სქესის წარმომადგენლის დასახელება. საბოლოოდ ამ ნაბიჯის გა-დადგმა მაინც გადაწყვიტეს, რადგან ქვეყნად უამრავი მამაკაცია, რომლებიც ქალთა თანასწორუფლებიანობისთვის იბრძვიან.

ცნობილ ვოკალისტს პრემიას ლოს-ანჯელესში 14-ნოემბერს გადასცემენ.

ესპანეთში გაუდის პირველ სახლს აღადგენენ

ბარსელონაში გამოჩენილი ესპანელი არქიტექტორის ანტონიო გაუდის მიერ შექმნილ პირველ სახლს აღადგენენ. შენო-ბა დღეს ცნობილია როგორც „ვისენსის სახლი“. გაუდიმ ის 1883-1885 წლებში იმ-უამინდელი კერამიკის ქარხნის მფლობელ მანუელა ვისენსის ოჯახისთვის დააპრო-ექტა და ააშენა. 1889-2014 წლებში სახლი კერძო საკუთრებაში იყო და მნახველთათვის დაკეტილი გახლდათ.

სახლის აღსადგენად 2,5 მილიონი ევრო დაიხარჯება და მუ-ზეუმის სტატუსი მომავალ წელს მიენიჭება, რის შემდეგაც ამ სა-ოცრებით დატკბობა ყველა მნახველს შეეძლება.

სახლი, ისევე როგორც გაუდის სხვა შედევრები „იუნესკოს“ მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდში შედის.

საქორწილო ცერემონია დათვის თანხლებით

როგორც წესი, ქორწილში ყველაზე დიდ ყურადღებას სიძე-პა-ტარძალი იქცევს, მაგრამ რუსეთში გამართულ ხელისმოწერის ცერე-მონიაში, მთავარი გმირი, არც მეტი, არც ნაკლები დათვი გახლდათ.

კრეატიულმა წყვილმა დათვი ფო-ტოსესიისთვის მიიწვიეს, მაგრამ „პატა-რა ცხოველი“ ისე გათამამდა, რომ სა-ქორწილო ცერემონიაშიც კი ჩაერთო. კარგადაც იპოზიორა კამერის წინ და პატარძლის ამბორიც დაიმსახურა.

წყვილმა საბოლოოდ აღიარა, რომ დათვის საკმაოდ ეშინო-დათ, მაგრამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ ნერ-ვიულობად ღირდაო.

მომზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვე-თავი მასალები დაიბეჭ-დება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემ-თხვეოდეს რედაქციის პო-ზიციას. ფაქტების სიზუ-სტეზე პასუხს აგებენ ავ-ტორები.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინი-კა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რო-მელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვა-დასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენი-ანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშ-კართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფარ-თობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შე-თანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორია-ზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკ-ვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4195; ევრო - 2.6810;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9687;
100 რუბლი - 3.8102; თურქული ლირა - 0.7769;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4466;
1000 სომხური დრამი - 5.0830.

ამინდი 4 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -4,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +14
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 6,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +16
თბილისი:	ღამე +1,	დღე +17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE